

შანსი მშვიდობიანი დარეგულირებისთვის
A3



"თქვენი აფხაზეთი"
A5



თორთლაძემ K2-სა და ამინდს ვერ გაუგო
A7

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 11 აგვისტო, 2006 წელი. №180 (1332) | ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## სამართალი

### ომბუდსმენის მოთხოვნა

საქართველოს სახალხო დამცველს ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა დახმარებისთვის მეორედ მიმართა.

A2

## პოლიტიკა

### ბუფერული ზონა ევროკავშირსა და რუსეთს შორის

ბერლინში შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს, უკრაინას, მოლდავეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს "დემოკრატიის ექსპორტსა" და სტაბილურობას ჰპირდებიან. ამის შესახებ " ნეზავისიმაია გაზეტა" იუწყება.

A3

## ბიზნესი

### ექსპერტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის შენიშვნებს ელიან

გუშინ თბილისს ჯონ ვეიკმან ლინის ხელმძღვანელობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) შუალედური მისია ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 19 აგვისტომდე გასტანს, მისია ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შეაფასებს.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 11/08 | 12/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 42 | 42 |
| ბათუმი | 43 | 40 |
| სოხუმი | 40 | 40 |
| ქუთაისი | 46 | 45 |
| გორი | 38 | 39 |
| ონი | 33 | 35 |
| ზუგდიდი | 45 | 44 |
| ახმეტა | 41 | 41 |
| სამტრედია | 45 | 43 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7600 |
| ევრო | 2.2633 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3470 |
| რუბლი | 0.0660 |

სამართალი A 2
პოლიტიკა A 3
ბიზნესი A 4
პროექტი A 5
რევიუ A 6
სპორტი A 7
სხვადასხვა A 8

# კონფლიქტის რეალური და რუსული განზომილება

სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში მერაბ ანთაძე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობით შეშფოთებულია. მისი თქმით, ბოლო დღეებში ენგურის ხიდზე მშვიდობიანი ადამიანების გადაადგილებაც კი შეიზღუდა. ქართული მხარე დეფაქტო ხელისუფლებას მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს.

**"გალის რაიონის ქვედა ზონაში შეყვანილი იქნა დამატებითი შეიარაღებული ძალები. ადგილობრივ მოსახლეობას იძულებით ათხრევინებენ სანგრებს. გარდა ამისა, გაცემულია განკარგულება, რომ შეიზღუდოს სატრანსპორტო მიმოსვლა გალსა და ზუგდიდს შორის. ეს ყველაფერი ხდება სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში, სადაც ისინი ვალდებულები არიან, აღკვეთონ მსგავსი ქმედებები"**, - განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე მერაბ ანთაძემ.

სახელმწიფო მინისტრის შეშფოთებას საგარეო საქმეთა სამინისტროშიც იზიარებენ. ამ უწყების მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები არ ასრულებენ საკუთარი მანდატის დებულებებს, რეაგირებას არ ახდენენ მათ თვალწინ მიმდინარე კანონისა და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე.

**"ჩვენ მოვუწოდებთ დსთ-ს სამშვიდობო ძალებს და მათ ხელმძღვანელობას, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები, რათა აფხაზეთის ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ აღიკვეთოს იძულებითი შრომის გამოყენება,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, რომ ჯეროვანი შეფასება მისცენ სოხუმის რეჟიმისა და "მშვიდობისმყოფელთა" სტატუსს ამოფარებული მათი მფარველების მცდელობას, დააფუძნონ ავადსახსენებელი გულაგ-ის პრაქტიკა საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში.

ვიდრე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კონფლიქტის ზონაში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რუსეთის მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში თვითკმაყოფილებას მისცემიან და თავიანთი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის 7-8 აგვისტოს აფხაზეთში ვიზიტს ხოტბა-დიდებას ასხამენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ კარასინის ვიზიტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გართულებული ვითარების გამო შედგა, რაც, თავის მხრივ, კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენებით იყო გამოწვეული.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "კრიტიკული ზღვარი"

### ბრიტანეთი ტერაქტების სერიას გადაურჩა

*ბრიტანეთში დაკავებულია ტერორიზმში ეჭვმიტანილი 21 პიროვნება. სკოტლენდ-იარდის განცხადებით, ისინი სამგზავრო თვითმფრინავებში ასაფეთქებლების შეტანასა და, ძირითადად, აშშ-ში მიმავალი ავიალაინერების ჰაერში აფეთქებას აპირებდნენ. ყველა დაკავებული ბრიტანეთში დაბადებული მუსლიმია. უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების გამო მთელი მსოფლიოს მიმართულებით გადადებულია ასობით ავიარეისი. ნახევარ მილიონამდე მგზავრი ვერ ახერხებს დანიშნულების ადგილზე ჩასვლას.*

გაგრძელება A3 გვერდზე




*ტერაქტის შიშით თვითმფრინავებში ხელბარგის ატანა აკრძალულია.*

# თვითდაფინანსება

A 8



# "ტოტალური თავდაცვის მექანიზმი" ამოქმედდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქვეყანამ 48 საათში მინიმუმ 100 000 ადამიანის სამხედრო მობილიზაცია უნდა მოახერხოს. თუმცა, იქვე პრეზიდნეტმა დასძინა, რომ ეს სულაც არ ნიშნავს საომრად მზადებას, პირიქით, ასეთი სამხედრო მზადყოფნა სწორედ იმისთვისაა საჭირო, რომ გარეშე მტრებმა ვერ გაბედონ საქართველოსთან ომის დაწყება, - ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

ქვეყნის პირველმა პირმა ამის შესახებ ოსიაურში, რეზერვისტთა სამხედრო ბანაკში განაცხადა, სადაც გუშინ საღამოს რეზერვისტებისთვის კონცერტიც გაიმართა.

**"იმ პირობებში, როდესაც საქართველოს კბილებს სერიოზულად ულრჭიალებენ და ეს თამაში აღარ არის, გადამწყვეტ მომენტში უნდა შევძლოთ ტოტალური თავდაცვის მექანიზმების ამოქმედება"**, - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ქვეყანას პატარა შეიარაღებული ძალები ჰყავს, მაგრამ ყველა სოფელში თუ ქალაქში უნდა იყოს ასობით ათასი ადამიანი, რომელიც საქართველოს დასაცავად მზად იქნება.

პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საქართველოში 40 წლამდე ასაკის ყველა მოქალაქისთვის რეზერვისტის სამსახურის გავლა სავალდებულო უნდა იყოს. მიხეილ სააკაშვილმა ამ საკითხზე კონსულტაციები პარლამენტარებთანაც გაიარა.

*24 საათი*

# თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 58-ე ადგილზეა

*საერთაშორისო სააგენტო "State of World Liberty"-იმ ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს "თავისუფლების ინდექსის" რეიტინგი გამოაქვეყნა. მსოფლიოს 159 სახელმწიფოს შორის საქართველომ 58-ე ადგილი დაიკავა.*

სპეციალისტთა განცხადებით, ეს ინდექსი როგორც პიროვნული, ისე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს გულისხმობს.

კვლევების თანახმად, ყველაზე თავისუფალ რეგიონად დასახელდა ევროპა, რომლის თავისუფლების ინდექსი 70.49 ქულად შეფასდა. ევროპულ სახელმწიფოთა შორის კი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ესტონეთი (82.25 ქულა) ლიდერობს. ესტონეთის შემდეგ, "თავისუფლების ინდექსის" შედარებით დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი აქვს მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ლიტვა მეთექვსმეტე ადგილზე გავიდა, ლატვია კი ოცდამეერთეზე. სტატისტიკური მონაცემებით, პირველ ასეულში მოხვდა საქართველო, რომელმაც "თავისუფლების ინდექსის" მიერ შედგენილ რეიტინგში 58-ე ადგილი დაიკავა. სომხეთი 87 ადგილზეა, მოლდოვა - 93-ზე, რუსეთი კი - 124 ადგილზე. რუსეთის ფედერაციამ რეიტინგში 42,7 ქულა მოაგროვა და 42,14 ქულით აფრიკას დაუმეზობლდა. ეგვიპტემ 41,5 ქულა მოაგროვა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე არათავისუფალი აღმოჩნდა უზბეკეთი, ბელორუსი, და თურქმენეთი. რეიტინგში ყველაზე ბოლო - 159 ადგილს კორეა იკავებს.

ანალოგიური ტიპის კვლევა გასულ წელს ერთ-ერთმა გავლენიანმა ამერიკულმა კვლევითმა ინსტიტუტმა Heritage Foundation-მა ჩაატარა, რომლის შედეგების მიხედვით, საქართველოში შარშან, 2004 წელთან შედარებით ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაუარესდა - 91-ე ადგილიდან მე-100-ზე გადმოინაცვლა. ამ შედეგებით შარშან საქართველოს უსწრებდა სომხეთი, მადაგასკარი, მონღოლეთი, უგანდა, ნამიბია, ბოსნია და ყირგიზეთი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცარიელ დარბაზში გამოტანილი კიდევ ერთი განაჩენი

*თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ამირან რობაქიძის საქმის სასამართლო განხილვა. მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა, მისი კოლეგის, სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლის, გიორგი ჩემიას მსგავსად, განაჩენი ცარიელ დარბაზში წაიკითხა. ამირან რობაქიძის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში ბრალდებულ ყოფილ პატრულს გრიგოლ ბაშალეიშვილს მოსამართლემ ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ჯემალ კოპალიანმა განაჩენი სასამართლოს ეზოში მიმდინარე საპროტესტო აქციის ფონზე გამოიტანა. "ძირს უკანონობა", "მონებო", "კოპალიანი მონა", - ამგვარი წარწერები გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის", არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინ.*

2004 წლის 23 ნოემბერს, დიდუბის ეკლესიასთან ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული 19 წლის ამირან რობაქიძის ახლობლებმა და დაცვის მხარემ სასამართლო პროცესი პროტესტის ნიშნად დაწყებისთანავე დატოვეს. პროტესტი მოჰყვა მოსამართლის გადაწყვეტილებას, რომლითაც მან უარი განაცხადა იმ მოწმეების დაკითხვაზე, რომლებიც ინციდენტის დროს ბაშალეიშვილთან ერთად მანქანაში იმყოფებოდნენ და რომლებმაც შემთხვევის ადგილის რეალური სურათი გადაიღეს. მოსამართლემ განაცხადა, რომ განსასჯელ ბაშალეიშვილთან ერთად "პატრულის" გადამღები ჯგუფი შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა. მოსამართლის ამ გადაწყვეტილების შემდეგ, სასამართლო პროცესი დაცვასთან ერთად ადვოკატმა ალექსანდრე ალადაშვილმაც დატოვა. მისი თქმით, ასეთი იყო რობაქიძის ოჯახის წევრთა მოთხოვნა.

შეგახსენებთ, რომ დაცვის მხარე ითხოვდა, გადაცემა "პატრულის" იმ გადამღები ჯგუფის დაკითხვას, რომელიც, მათი ინფორმაციით, ინციდენტის დროს ბაშალეიშვილთან ერთად იმყოფებოდნენ მანქანაში.

სასამართლომ გასულ ხუთშაბათს შს სამინისტროდან მიიღო ოფიციალური წერილი, რომ ბაშალეიშვილთან ერთად იმყოფებოდა მისი მეწყვილე. ამის გამო, მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა, ჟურნალისტების დაკითხვასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.

ამირან რობაქიძის დედის ია მეტრეველის განცხადებით, სასამართლო უსუსურია და იგი არ აპატიებს მოსამართლეს ასეთ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ომბუდსმენის მოთხოვნა

საქართველოს სახალხო დამცველს ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა დახმარებისთვის მეორედ მიმართა.

საქმე ისაა, რომ 2 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შევიდა ადვოკატ სოსო ბარათაშვილის განცხადება, რომელშიც მითითებული იყო, რომ საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს გამომძიებელი ზურაბ ბეიტრიშვილი ბრალდებულ ირაკლი ბათიაშვილს არ აძლევდა საშუალებას, გასცნობოდა საქმის მასალებს.

სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, სოსო ბარათაშვილის განცხადებაზე რეაგირება მათ იმავე დღეს მოახდინეს.

**"2 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის შს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსს რამაზ ჟღენტს, იმის თაობაზე, რომ ირღვეოდა საქართველოს სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება; მოითხოვა კონტროლზე აეყვანათ აღნიშული საქმე და მიღებული ყოფილიყო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპატარში.

ადვოკატ სოსო ბარათაშვილის განცხადება განმეორებით 9 აგვისტოს შევიდა. ადვოკატის განცხადებიდან ირკვევა, რომ დღემდე არ დაკმაყოფილებულა ბრალდებულ ირაკლი ბათიაშვილის კანონიერი მოთხოვნა, მიეცათ მისთვის საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობის უფლება.

გამომძიებელმა ზურაბ ბეიტრიშვილმა ადვოკატ სოსო ბარათაშვილს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქმეზე თანდართული ნივთმტკიცების - ვიდეომასალის გაცნობა ვერ მოხერხდება მანამდე, სანამ არ დამთავრდება გაშიფვრა და შესაბამისი "კრებსების" დამზადება.

**"კვლავ ირღვევა ბრალდებულისათვის კანონით გარანტირებული უფლებები,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

ამის გამო, სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს და მოითხოვა, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ბრალდებულისათვის საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობის უფლება.

*24 საათი*

# ცარიელ დარბაზში გამოტანილი კიდევ ერთი განაჩენი

პირველი გვერდიდან

**"გურამ დონაძე ყოველდღე "ტუსოვკებზე" დადის, ჩემი შვილი კი მიწაში წევს. ჩვენ გვაქვს კასეტა, რომელიც ადასტურებს, რომ ბაშალეიშვილი მარტო არ იყო და ინციდენტის დროს იყვნენ მოწმეები",** - განაცხადა მან.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა, იურისტმა თინა ხიდაშელმა. მისი თქმით, გასაგებია, მოსამართლემ რატომ არ მოიყვანა "პატრულის" თანამშრომლები დასაკითხად.

**"ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკვეთა და გადაწყვეტილება. ეს არის იმის დემონსტრირება, თუ როგორი სუსტი და უსუსურია დღევანდელი სასამართლო",** - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დარბაზი დაცარიელდა, სახელმწიფო ბრალმდებელმა გელა ლაზაშვილმა საბრალდებო სიტყვა წაიკითხა და გრიგოლ ბაშალეიშვილისთვის სასჯელის მაქსიმალური ზომა, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, რასაც მოსამართლეც დაეთანხმა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გუშინდელი განაჩენით, გრიგოლ ბაშალეიშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

განაჩენი სასამართლოს ეზოში შეკრებილმა არასამთავრობოებმა და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა გააპროტესტეს. გარდა ამისა, სასამართლოსთან შეკრებილები იყვნენ სასამართლო მანდატურებისა და საპატრულო პოლიციის გაძლიერებული ჯგუფები, რომლებიც ცდილობდნენ აქციის მონაწილეებისთვის არ მიეცათ საღებავებით წარწერების გაკეთების საშუალება.

**"დღეს სასამართლოს შენობასთან პატრულის გამოჩენამ დაადასტურა ის, რომ მანდატურებმა 8 აგვისტოს ბაშალეიშვილის პროცესის დაწყებამდე დაარღვიეს კანონი, როდესაც მათ სასამართლოს შენობის გარეთ აქციის მონაწილეებს ხელი შეუშალეს საკუთარი პროტესტის გამოხატვაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მოსალოდნელი იყო და არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. მოსამართლემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მართლმსაჯულების უსუსურობა,"** - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**"საქმის განმხილველმა მოსამართლემ ორი ჟურნალისტიც კი ვერ მოიყვანა სასამართლო პროცესზე, ამიტომ ვინ მისცა მას ადამიანის გასამართლების უფლება, გაუგებარია",** - განაცხადა ამირან რობაქიძის მამამ სოსო რობაქიძემ.

მოკლულის ოჯახის წევრებს მთავარი პრეტენზია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი გააჩნიათ. როგორც ამირან რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა განაცხადა, თავდაპირველად ბაშალეიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო განზრახ მკვლელობის მუხლით, რაც, შემდგომ შეიცვალა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის ხელყოფის მუხლით.

საქართველოს სახალხო დამცველი აცხადებს, რომ მოსამართლე კოპალიანმა განაჩენი ისე გამოიტანა, რომ არ დააკამყოფილა დაზარალებული მხარის შუამდგომლობა შსს-ს პრესსამსახურის ყოფილი უფროსის, გურამ დონაძის, საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსის ზურაბ მიქაძისა და გადაცემა "პატრულის" გადამღები ჯგუფის დაკითხვის თაობაზე.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალდებული იყო საქმეში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით კერძო დადგენილება გამოეტანა და პროკურატურისათვის მიემართა. ვინაიდან, სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება "მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა თუ კანონის სხვა დარღვევათა გამოვლენისას, რომლებიც დაშვებული იყო წინასწარი გამოძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას."

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ გენერალური პროკურატური ვალდებული იყო დაეწყო ბაშალეიშვილის ბრალდების საქმისგან დამოუკიდებელი გამოძიება, ვინაიდან ომბუდსმენის მიერ გაგზავნილ რეკომენდაციაში მითითებული იყო ისეთი ფაქტები და გარემოებები, რომელზედაც არ ჩატარებულა წინასწარი გამოძიება.

სოზარ სუბარის აზრით, პროკურატურასა და საქალაქო სასამართლოს შორის შეიქმნა ერთაგვარი ჩაკეტილი წრე, რომელიც ხელს უშლის ჭეშმარტების დადგენას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოშია შესაძლებელი.

ამირან რობაქიძის ოჯახის წევრები განაჩენის გასაჩივრებას სტრასბურგის სასამართლოში გეგმავენ.

*24 საათი*



ინტერპრესის ფოტო

*ოთხწლიანი პატიმრობა გრიგოლ ბაშალეიშვილს.*

### საქალაქო სასამართლოს კომენტარი

თბილისის საქალქო სასამართლოს სპიკერმა მოსამართლემ შორენა გუნცაძემ გრიგოლ ბაშალეიშვილის საქმის განხილვის დროს გამოთქმულ პრეტენზიებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

სპიკერი მოსამართლის განცხადებით, სასასმართლო გამოძიების სტადიაზე, დაზარალებული მხარის ადვოკატმა ალექსანდრე ალადაშვილმა შსს-ს გადაცემა "პატრულის" იმ გადამღები ჯგუფის წევრების ვინაობის დადგენა მოითხოვა, რომლებიც შემთხვევის ადგილზე გრიგოლ ბაშალეიშვილის ეკიპაჟთან ერთად იმყოფებოდნენ.

**"სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა დააკამაყოფილა, რის საფუძველზეც სასამართლო სხდომაზე გამოძახებული იყვნენ გადაცემა "პატრულის" მორიგე ჯგუფის წევრები ვაწაძე და მუკბანიანი. მათი დაკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ისინი შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ და გადაღებას აწარმობდნენ, თუმცა ბაშალეიშვილის ავტომანქანაში არ მსხდარან",** - აცხადებენ სასამართლოში.

შორენა გუნცაძის განცხადებით, საქართველოს შსს-ს საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროს უფროსის 2006 წლის 8 აგვისტოს წერილში მითითებულია, რომ ბაშალეიშვილის საპატრულო ავტომანქანაში, გადაცემა "პატრულის" გადამღები ჯგუფის წევრები არ იმყოფებოდნენ.

**"შესაბამისად, ვერ მოხდებოდა გაურკვეველი პირების იძულებითი მოყვანა და მოწმედ დაკითხვა. საქმის განმხილველი მოსამართლე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება იმ მოწმის იძულებით მოყვანის შესახებ, რომლის ვინაობაც ცნობილია,"** - აცხადებს სპიკერი მოსამართლე.

## მოკლედ

### სამხედრო განყოფილების უფროსი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა ქრთამის აღების ფაქტზე ზესტაფონის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსი დააკავა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, დაკავებულმა, მოქალაქე გიორგი შავგულიძის დახმარებით, წვევამდელს ქრთამის სახით 500 ლარი გამოსძალა, რის სანაცვლოდაც თვრამეტი თვით სამხედრო სამსახურის გადავადებას შეჰპირდა.

დანაშაული ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

### აზერბაიჯანელთა ეროვნული ასამბლეის მუქარა

აზერბაიჯანელთა ეროვნული ასამბლეა საქართველოში სარკინიგზო გზის თბილისი-ერევნისა და საავტომობილო ტრასის თბილისი-მარნეული-ერევნის გადაკეტვით იმუქრება. ამის შესახებ ასამბლეის პრეზიდენტმა დაშგინ გულმამედოვმა თურქეთში გამართულ ასამბლეის საგანგებო სხდომაზე განაცხადა, რომლის დროსაც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანლების მკვლელობის, ცემისა და დაპატიმრების საკითხები განიხილებოდა. ასამბლეის მორიგი პროტესტი მათივე თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენელთა ქმედებით არის განპირობებული. ანსამბლეის წევრების მტკიცებით, დაკავებულია მათი ორი წევრი, ხოლო აზერბაიჯანში გამოცემულ გაზეთ "გუმათის" ნომრებს კონფისკაცია გაუკეთეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შს სამინისტრომ ოფიციალურად უარყო აღნიშნული ფაქტი, ასამბლეა დაკავებულთა გასათავისუფლებლად ქართულ მხარეს 20 საათის ვადას აძლევს.

"წინააღმდეგ შემთხვევაში გადავკეტავთ თბილისი-ერევნის სარკინიგზო და თბილისი-მარნეული-ერევნის საავტომობილო გზებს. ორგანიზებას გავუწევთ მასობრივ საპროტესტო აქციებს", - განაცხადა გულმამედოვმა, რომელმაც პასუხისმგებლობა საქართველოს შს მინისტრს ვანო მერაბიშვილსა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს შალვა ჟღენტს დააკისრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ლაშა ჩხარტიშვილი გაათავისუფლეს

"თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთი აქტივისტი ლაშა ჩხარტიშვილი გაათავისუფლეს. დიღომში მდებარე პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანი მან 10 აგვისტოს 20.30 საათზე დატოვა. როგორც ცნობლია, ჩხარტიშვილი 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააკავა. იგი სასამართლოს ეზოში გამართული აქციის გამო კანონდამრღვევად სცნეს და ორი დღით პატიმრობა შეუფარდეს. ბრალდების მიხედვით, ჩხარტიშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ამირან რობაქიძის მკვლელობს პროცესზე მანდატურს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რითაც მოქალაქეთა "სიმშვიდე დაარღვია". "თანასწორობის ინსტიტუტის" აქტივისტის დაკავებას ადამიანის უფლებების დამცველები აპროტესტებდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### სასჯელაღსრულების დაწესებულებების კომისიები კომპლექტდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სასჯელაღსრულების დაწესებულებების კომისიების დაკომპლექტების მიზნით, კომისიის წევრობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს. კომისიები შეიქმნება სასჯელაღსრულების თითოეულ დაწესებულებასთან. მათ შორისაა: N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (რუსთავი), N2 არასრულწლოვანთა და ქალთა, N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება (თბილისი); №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (მცხეთის რაიონი); №8 საერთო რეჟიმის დაწესებულება (გეგუთი); №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (დაბა ხონი); №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (თბილისი, ავჭალა); არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება (თბილისი, ავჭალა); ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (დაბა ქსანი); პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (თბილისი); №1 საპყრობილე (თბილისი); №5 საპყრობილე (თბილისი); №6 საპყრობილე (რუსთავი); №7 საპყრობილე (თბილისი); №8 საპყრობილე (დაბა ქსანი).

კომისიის წევრობის მსურველთა საბუთების მიღება 20 აგვისტოს დასრულდება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების კომისიები უკვე მუშაობს ქუთაისის, ზუგდიდისა და ბათუმის საპყრობილეებთან. თითოეული კომისია 10 წევრისაგან შედგება, მათ შორის არიან ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, ასევე, სასულიერო პირები. **ინტერპრესნიუსი**

### მართლმსაჯულების ბიუჯეტი გაიზარდა

2006 წელს სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 19 მილიონი ლარით, 33,2 მილიონ ლარამდე გაიზარდა. უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, მიმდინარე წელს გაიზარდა მოსამართლეთა ხელფასებიც. ამჟამად, პირველი ინსტანციის სასამართლოებში მინიმალური ხელფასი 1 450 ლარს შეადგენს, სააპელაციო სასამართლოებში საშუალოდ 2 000 ლარს, ხოლო უზენაეს სასამართლოში 3 000-დან 4 000 ლარამდე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, მოსამართლეთა ხელფასი 51 პროცენტით არის გაზრდილი და მომავალშიც მოიმატებს. მისივე თქმით, 2006 წლის ბოლომდე ყველა საქალაქო სასამართლოში შეიქმნება საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური პირობები; სხდომის დარბაზები აღიჭურვება კომპიუტერებით, ხმის გამაძლიერებლებითა და მიკროფონებით. ასევე დამონტაჟდება სპეციალური აპარატურა, რითაც სასამართლო სხდომების ჩაწერა განხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

### ფინანსური პოლიციის ახალი შენობა

რუსთავში ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს ახალი შენობა გაიხსნა. შენობის გახსნას ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი, ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი და პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის რეგიონში ზურაბ მელიქიშვილი დაესწრნენ. დავით კეზერაშვილის განცხადებით, შენობის რემონტი 150 000 ლარი დაჯდა, რისთვისაც თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო. შენობა უახლესი კომპიუტერული ტექნიკით არის აღჭურვილი.

"აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ თანამშრომლებმა 24 საათის განმავლობაში იმუშაონ. თითქმის დავასრულეთ ინფრასტრუქტურის გამართვა. ყველა რეგიონში გავხსენით ახალი შენობები", - განაცხადა დავით კეზერაშვილმა.

ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის თქმით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს მუშაობისთვის ნორმალური პირობები უნდა გააჩნდეს, ამიტომ ამ მიმართულებით საქმიანობა გაგრძელდება. უახლოეს მომავალში კი გორში საგადასახადო სამსახურის შენობის რემონტი დასრულდება. **ინტერპრესნიუსი**

# განსაკუთრებული ზომები საპატიმროში

*სიცხის მატებასთან ერთად, იმატა პატიმართა გარდაცვალების შემთხვევებმაც. ბოლო ათი დღის განმავლობაში 9 პატიმარი გარდაიცვალა. არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებით, პატიმართა სიკვდილიანობის მიზეზი გადატვირთულ საპატიმროებში არსებული უჰაერობაა.*

არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციას პატიმართა გარდაცვალების თაობაზე იუსტიციის სამინისტრო ადასტურებს, თუმცა გარდაცვალების სხვა მიზეზებს ასახელებს. **"იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აგვისტოს თვეში 9 პატიმარი გარდაიცვალა. გარდაცვლილ პატიმართა ასაკი 40-დან 50 წლამდე მერყეობს. გარდაცვალების მიზეზი ნერვულ ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა დაავადება გახდა",** - სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ.

**"იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი დეტალურად სწავლობს პატიმართა გარდაცვალების ყველა ფაქტს. ამასთან, ტარდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ზოგიერთი განცხადების საპასუხოდ მინდა აღვნიშნო, რომ არ არის მიზანშეწონილი ადამიანის სიცოცხლესთან დაკავშირებული ინფორმაციით მანიპულირება",** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

გივი მიქანაძის თქმით, ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებით საგანგებო რეჟიმში მუშაობს იუსტიციის სამინისტრო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. თბილისის N1 და N5 საპყრობილეების საკნებში შეტანილია 2-2 ცალი ვენტილატორი. მორიგეობს ექიმთა ჯგუფები. საპატიმროებში არის 24-საათიანი წყალმომარაგება. სველდება საპყრობილეების კორიდორები. ფაქტობრივად, დასრულებულია საკნებიდან რკინის ჟალუზების ჩამოხსნის პროცესი.

მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ყველაფერი კეთდება საპატიმროების განსატვირთადაც. უახლოეს მომავალში რუსთავის ყოფილი N2 დაწესებულების ტერიტორიაზე ამოქმედდება ახალაშენებული 1000-ადგილიანი საპყრობილე. ახალი საპყრობილის მშენებლობა მიმდინარეობს თბილისის გარეუბანში.

გუშინვე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ, მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ და სასჯელაღსრულების რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საგანგებო თათბირზე ციხეებში შექმნილი მდგომარეობა განიხილეს. იმსჯელეს ცხელ დღეებთან დაკავშირებით საპატიმრო დაწესებულებებში დამატებითი, განსაკუთრებული ზომების მიღების საკითხზე და განიხილეს პატიმართა სიკვდილიანობის ზრდის მიზეზები. სასჯელაღსრულების რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იუსტიციის მინისტრისგან კონკრეტული დავალებები მიიღეს.

მსგავსი შეხვედრები იუსტიციის სამინისტროში ყოველდღიურად გაიმართება, მანამდე, სანამ ტემპერატურა არ დაიკლებს და არ მოხდება პატიმართა სიკვდილიანობის ზრდის გამომწვევი მიზეზის სრული ანალიზი.

არასამთავრობო სექტორი კი პატიმართა გარდაცვალების გახშირებულ ფაქტებს საპყრობილეებში არსებულ არასათანადო პირობებს უკავშირებს.

**"პატიმრების გარდაცვალების უმთავრესი მიზეზებია: დაკავებულების არაადამიანურ პირობებში ყოფნა, ცემა-წამება, სამედიცინო დახმარების არარსებობა, არასათანადო კვება და ფსიქოლოგიური ზეწოლა, რასაც ემატება მაღალი ტემპერატურა, რაც პატიმართა ყოფას აუტანელს ხდის და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია",** - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიციის წარმომადგენლები. მათივე თქმით, საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში 15 000-მდე პატიმარი არ ყოფილა, საპატიმროები 10 000-მდე პატიმარზე იყო გათვლილი და ერთი პატიმრით მეტიც კი არ შედიოდა საპატიმროში.

*24 საათი*




24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# კონფლიქტის რეალური და რუსული განზომილება

პირველი გვერდიდან

**"ვიზიტის მთავარ მიზანს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის აღსადგენად გზების მოძიება წარმოადგენდა",** - აღნიშნულია რუსეთის დიპლომატიური უწყების განცხადებაში.

რუსული მხარე თავგამოდებით ცდილობს, მედიატორის იმიჯი შეინარჩუნოს და თავი ქართველებისა და აფხაზების შერიგების მოსურნედ წარმოაჩინოს.

**"აუცილებელია დაჩქარდეს მუშაობა ქართულ-აფხაზურ დოკუმენტზე სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ, დაიწყოს საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, გააქტიურდეს გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების სამუშაო ჯგუფების მუშაობა, მოხდეს სოჭი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა, "ენგურჰესის" მოდერნიზაცია, რაც სოჭში 2003 წელს რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ არის ხელმოწერილი",** - მოითხოვს ქართველებისა და აფხაზების "სიყვარულით გულანთებული" რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების მიერ საქართველოს მიმართ გამოხატული "ზრუნვა და სიმპათია" აქ მთავრდება და იწყება ფაქტებისა თუ გამონათქვამების ფალსიფიცირება. ეს უწყება, როგორც ჩანს, ძალიან გაალიზიანა საქართველოს თავდაცვის წარმომადგენლების მიერ 9 აგვისტოს გაკეთებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ გაერო-ს მონიტორიგის ჯგუფში, რომელიც კოდორის ხეობის ინსპექტირებას განახორციელებს, რუსული მხარე შეზღუდულად უნდა იყოს წარმოდგენილი.

როგორც სჩვევიათ, რუსებმა ქართული მხარის ეს განცხადება უმალ დაამახინჯეს და საქმის ვითარება ისე წარმოაჩინეს, თითქოს, ოფიციალური თბილისი რუსეთის სრულ იგნორირებას ცდილობს.

სასურველის რეალობად გასაღების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ბორის მალახოვის მიერ გამოთქმული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ **"კოდორის ხეობის მონიტორინგის პროცესში რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების არმონაწილეობა არღვევს 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებას".**

მალახოვის "განმარტებით", აღნიშნულ ხელშეკრულებაში ნათლად არის მითითებული, რომ კოდორის ხეობაში რეგულარული პატრულირება რუსეთის სამშვიდობო ძალებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა უნდა განახორციელონ და ამიტომაც მიუღებელია საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, **"არ დაუშვას ხეობაში რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები".**

რუსეთის დიპლომატიურ უწყებაში გამოთქმულ უკმაყოფილებას თავდაცვის სამინისტროშიც კვერს უკრავენ.

**"აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდლობა საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრის გამონათქვამებს, კოდორის ხეობასთან მიმართებაში, ულტიმატუმად აღიქვამს,"** - ბუზღუნებს რუსი სამშვიდობოების პრესატაშე ვლადიმერ ანიკინი.

**"რუს მშვიდობისმყოფელთა სარდლობა მიიჩნევს, რომ ეს პირდაპირი ულტიმატუმია მათ მიმართ, რადგანაც, ამ განცხადებით, რუსი მშვიდობისმყოფელები მათდამი დაკისრებულ ფუნქციებსა და ამოცანებს ვერ ასრულებენ. არადა, სამშვიდობოთა უფლება-მოვალეობები მოსკოვის შეთანხმების მეოთხე პუნქტითაა გათვალისწინებული",** - საქართველოს ხელისუფალთა "უმადურობა" აოცებს ანიკინს.

ერთი სიტყვით, რუსული მხარე პრობლემას ხედავს ისე, როგორც თავად აძლევს ხელს. ეს კი სულაც არ უწყობს ხელს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას.

*24 საათი*

# "კრიტიკული ზღვარი"

პირველი გვერდიდან

ბრიტანეთის საპეცსამსახურების განცხადებით, სამართალდამცველებმა უკანასკნელ მომენტში მოახერხეს დანაშაულის აღკვეთა. ბრიტანელთა განცხადებით, სულ ცოტაც და ბოროტმოქმედები ატლანტიკის თავზე სამგზავრო თვითმფრინავებს ააფეთქებდნენ.

ტერაქტების აღკვეთა სკოტლან-იარდის ანტიტერორისტული ქვედანაყოფისა და ლონდონის უშიშროების საბჭოს ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხერხდა. გუშინ საღამოს გავრცელებული ბოლო ინფორმაციით, დაკავებულია 21 ადამიანი.

პოლიცია ვარაუდობს, რომ ბოროტმოქმედები თხევადი ასაფეთქებელი ნივთიერების, დეტონატორებისა და ტაიმერების ხელბარგის საშუალებით ავიალაინერში შეტანას და უკვე აფრენილი თვითმფრინავების აფეთქებას გეგმავდნენ.

ვარაუდობენ, რომ ბოროტმოქმედთა ერთ-ერთ სამიზნედ ის თვითმფრინავები უნდა გამხდარიყო, რომლებიც რეისს ბრიტანეთიდან აშშ-ში შეასრულებდნენ. ტელეკომპანია "სი-ენ-ენ"-ი გუშინ ასახელებდა იმ ამერიკული ავიაკომპანიების სახელებსაც, რომელთა თვითმფრინავების აფეთქებაც ჰქონდათ ბოროტმოქმედებს დაგეგმილი.

როგორც გუშინ ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონ რიდმა განაცხადა, სავარაუდოდ, ტერაქტი უაღრესად მასშტაბური იქნებოდა და მსხვერპლთა უპრეცედენტო რაოდენობას გამოიწვევდა. ბრიტანელი მინისტრის თქმით, მართალია უკვე დაკავებულნი არიან მოსალოდნელი აფეთქებების მთავარი ორგანიზატორები, ამგრამ მან იქვე დასძინა, რომ ჯერჯერობით უსაფრთხოების გამკაცრებული ზომები არ გაუქმდება.




*პოლიცია ვარაუდობს, რომ ბოროტმოქმედები თხევადი ასაფეთქებელი ნივთიერებით გეგმავდნენ უკვე აფრენილი თვითმფრინავების აფეთქებას .*

განგაში ხუთშაბათს გამთენიისას დაიწყო. ბრიტანეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა ეროვნული უსაფრთხოების მაქსიმალური დონე. "მი-5"-ის (ბრიტანეთის კონტრდაზვერვა) ინტერნეტ-გვერდზე განმარტებულია - მსგავსი განგაში ნიშნავს, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია ტერაქტი.

თუმცა, ტრანსპორტის მინისტრის დუგლასდ ალექსანდერის თქმით, უსაფრთხოების უმაღლესი დონის გამოცხადება მხოლოდ და მხოლოდ სიფრთხილით იყო გამოწვეული. საფრთხის სერიოზულობამ ხელისუფლებას სხვა გამოსავალი უბრალოდ არ დაუტოვა, - ამბობს ტრანსპორტის მინისტრი.

დიდი ბრიტანეთის ყველა აეროპორტი უსაფრთხოების გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს. ქვეყნის მთავარი აეროპორტი - ლონდონის "ჰითროუ" კი დაიკეტა ყველა ჩამომსვლელი ლაინერისთვის, გარდა იმათი, ვინც უკვე ჰაერში იყო განგაშის გამოცხადების მომენტისთვის. ასევე, გაუქმებული ყველა რეისი ლონდონის მეორე აეროპორტში - ""ჰეთვიკში".

სააგენტო "ესოშიეთედ პრესი" იტყობინება, რომ ლონდონში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით აშშ-ს ხელისუფლებამაც გაზარდა ეროვნული უსაფრთხოების დონე. გაძლიერებულია უსაფრთოხების ზომები ამერიკულ აეროპორტებშიც.

# თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 58-ე ადგილზეა

პირველი გვერდიდან

შარშან საქართველო, ამ კვლევის შედეგების თანახმად, მიკუთვნებული იყო "ძირითადად არათავისუფალი" სახელმწიფოების კატეგორიას.

ამ მონაცემების თანახმად, შარშან უცხოელი ინვესტორები საქართველოს ბიზნეს-გარემოს აღიქვამდნენ როგორც ბიუროკრატიულს, არაგამჭვირვალეს და კორუფციისკენ მიდრეკილს.

Heritage Foundation-ის მოხსენების სპეციალურად საქართველოსთვის მიძღვნილ ნაწილში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ განსაკუთრებით გაუარესებულია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი და მნიშვნელოვნად არის გაზრდილი არალეგალური ვაჭრობა. კვლევის ავტორები იმასაც წერენ, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციებისთვის დაწესებულია მაღალი ბარიერები.

ცნობისათვის, Heritage Foundation-ის შარშანდელი მოხსენება სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ მოკვლეულ ინფორმაციას ეყრდნობოდა, მათ შორის - სავალუტო ფონდის სპეციალურ ანგარიშს.

*24 საათი*

# შანსი მშვიდობიანი დარეგულირებისთვის

## რეზოლუციის მიღების პერსპექტივა კვალვაც ბუნდოვანია

ისრაელმა სამხრეთ ლიბანზე მასშტაბური იერიში დროებით შეაჩერა. როგორც ისრაელის ოფიციალური პირები აცხადებენ, ისინი "დიპლომატებს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის შანსს აძლევენ".

შეგახსენებთ, ლიბანზე მასირებული შეტევები ისრაელის უშიშროების კაბინეტის გადაწყვეტლების შემდეგ დაიწყო. ოთხშაბათს ისრაელის ჯარი, "ჰეზბოლას" გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქ მარჯეიუნში შევიდა.

აშშ-მა დაგმო კონფლიქტის ესკალაცია. ვაშინგტონის განცხადებით, მასირებული შეტევები ხელს შეუშლის გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებას.

მიუხედავად აშშ-ის ამგვარი განცხადებებისა, უშიშროების საბჭოს ზოგიერთი წევრი, მათ შორის საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ეჭვობს, რომ ამერიკელებს რეზოლუციის მიღება ჯერჯერობით არ სურთ.

პოლიტოლოგთა აზრით, რეზოლუციის მიღების შანსები მინიმალურია. თუმცა, აშშ ისრაელს სამხრეთ ლიბანის დაკავებისგან თავის შეკავებას მაინც სთხოვს.

როგორ უცხოეთის სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას, ებრაულმა რაკეტამ ბეირუთის მჭიდროდ დასახლებულ აღმოსავლეთ რაიონში ისტორიული შუქურა დააზიანა.

ამერიკული მედიის ინფორმაციით, რაკეტის დარტყმის შედეგად კოლონიალური ეპოქის ფრანგული ისტორიული ნაგებობის ზედა ნაწილი ჩამოინგრა.

შუქურის ჩამონგრევა ლიბანურმა ტელევიზიამ პირდაპირ ეთერში გადასცა.

ეს არის პირველი სარაკეტო დარტყმა მას შემდეგ, რაც ლიბანური დაჯგუფება "ჰეზბოლას" ლიდერმა ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ ბეირუთზე შეტევას ლიბანი თელ-ავივზე საპასუხო დარტყმით უპასუხებდა.

*24 საათი*

# ბუფერული ზონა ევროკავშირსა და რუსეთს შორის

ბერლინში შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს, უკრაინას, მოლდავეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს "დემოკრატიის ექსპორტსა" და სტაბილურობას ჰპირდებიან. ამის შესახებ "ნეზავისიმაია გაზეტა" იუწყება.

"გერმანელები მიიჩნევენ, რომ ერთიანმა ევროპამ აქტიურად უნდა იმოქმედოს ამ რეგიონში, სადაც აშშ-ისა და რუსეთის კონკურენცია დიდია", - ნათქვამია სტატიაში.

"საქართველო, უკრაინა და მოლდავეთი ევროკავშირსა და რუსეთს შორის ბუფერული ზონა იქნება", - მიიჩნევს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ ამ ქვეყნების სიას ბელორუსიაც შეუერთდება იმ შემთხვევაში, თუ იქ ხელისუფლება შეიცვალა.

"გერმანულ პრესაში ჯერ კიდევ აპრილში გაჩნდა ცნობა "ევროკავშირის ახალი აღმოსავლური პოლიტიკის" შექმნის გეგმის შესახებ, რომლის ცენტრალურ მიმართულებად უნდა იქცეს კავკასია, როგორც "მეზობლობის ახალი რეგიონი". ახლა კი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაგეგმარების შტაბის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში, "მეზობლობის პოლიტიკა +", ამ გეგმას გამოკვეთილი ხასიათი მიეცა", - ნათქვამია სტატიაში.

როგორც ავტორი აღნიშნავს, დოკუმენტი "ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპას შორის მოდერნიზაციის გზით თანამშრომლობას" ისახავს მიზნად. წინადადება საქართველოს, უკრაინას, მოლდავეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ეძლევა, თუმცა, მთავრობის შეცვლის შემთხვევაში, მათ ბელორუსიაც დაემატება.

"თუმცა ამ ქვეყნებს კონკრეტულად ევროკავშირში შესვლას კი არ ჰპირდებიან, არამედ ამ "გრძელვადიან პრობლემას" სატყუარად იყენებენ", - აღნიშნულია სტატიაში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### მოკლედ

## შიიტთა უწმინდესი მეჩეთი ააფეთქეს

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, ერაყულ ქალაქ ნეჯეფში, დილით, მსოფლიოში შიიტთა ყველაზე წმინდა - იმამ ალის სახელობის მეჩეთი ააფეთქეს. დანარჩენი დეტალები ჯერჯერობით უცნობია. ეს მეჩეთი შიიტთა ყველაზე წმინდა მეჩეთად იმის გამო ითვლება, რომ შიიტთა რწმენით, იქ თავად ალია დაკრძალული, რომელიც მუჰამედ წინასწარმეტყველის სიძე და ოთხი "ნამდვილი" ხალიფიდან უკანასკნელი იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აშშ ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ბაზის ლიკვიდაციას მოახდენს

აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის სარდლობამ იტალიის თავდაცვის სამინისტროს აცნობა, რომ აშშ 2008 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის იტალიის მადალენას არქიპელაგში, კუნძულ სარდინიასთან ახლოს განლაგებული სამხედრო ბაზის ლიკვიდაციას მოახდენს.

მადალენას არქიპელაგი აშშ-ის სამხედრო ბაზა 1972 წელს შეიქმნა და მას ატომური წყალქვეშა ნავების ტექნიკური უზრუნველყოფა ევალებოდა.

ბაზის ორგანიზება იტალიისა და აშშ-ს შორის საიდუმლო ხელშეკრულების შედეგად განხორციელდა.

აშშ-ის თავდაცვის უწყებაში პრიორიტეტებისა და აქცენტების შეცვლა, უმნიშვნელოვანეს საფრთხედ ტერორიზმის აღიარება აღნიშნული ტიპის ბაზის არსებობას არაეფექტურად მიიჩნევს.

"ასეთი სახის ბაზებზე ამჟამად მოთხოვნილება არ არსებობს, ვინაიდან ახლა ჩვენ სხვა ახალ საფრთხეებთან გვიწევს ბრძოლა", - განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა ჯი კარპენტერმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩინეთის აღმოსავლეთ სანაპიროს ძლიერი ტაიფუნი უახლოვდება

ჩინეთის აღმოსავლეთ სანაპიროს უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი ტაიფუნი უახლოვდება. სინოპტიკოსთა ვარაუდით, დღეს, დღის მეორე ნახევარში, ტაიფუნი "საომაი" პროვინცია ჩჟენძიანს დაატყდება თავს.

მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, საშიში რაიონებიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. რამდენიმე პროვინციიდან 470 ათასამდე ადამიანია ევაკუირებული. ტაიფუნის ეპიცენტრში ქარის სიჩქარე 60 მეტრწამს აღწევს. "საომაი" უკვე კვალიფიცირებულია როგორც უკიდურესად ძლიერი.

2006 წელს ჩინეთში სტიქიურ უბედურებებს 1,5 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. **ინტერპრესნიუსი**



მოკლედ

## ნატახტარი-აღაიანის ჩქაროსნული ავტობანის მონიტორინგი ხვალ განხორციელდება

დღეა, აქცია "საქართველოს გზები - 2006"-ის ფარგლებში, ნატახტარი-აღაიანის საგზაო მონაკვეთზე პირველი ჩქაროსნული გზატკეცილის (ავტობანის) მშენებლობის მონიტორინგი მოეწყობა.

ამ მიზნით, ნატახტარი-აღაიანის ავტობანის ერთ-ერთ მონაკვეთს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა კომპეტენტური პირები დაათვალიერებენ.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს, სამუშაოების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, ასევე ვიდეო და ფოტომასალებს დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი ადგილზე წარმოადგენს.

ნატახტარი-აღაიანის ჩქაროსნული ცემენტ-ბეტონის გზატკეცილის დაგება საქართველოში პირველად წარმოებს გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ინსტრუქტორებისა და უახლესი ტექნიკის მეშვეობით.

აქცია "საქართველოს გზები - 2006"-ის ფარგლებში საქართველოს გზებზე სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

## ბიუჯეტმა 7,888 მილიონი ლარის ხარჯი დააფინანსა

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 აგვისტოს 7,888 მლნ ლარის ხარჯი დააფინანსა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებამ 297,9 ათასი ლარი შეადგინა; სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიების (3,798 მლნ ლარი) და პროგრამული ხარჯების დასაფინანებლად (294,4 ათასი ლარი) 4,092 მლნ ლარი გაიღო.

სახელმწიფო ბიუჯეტმა სოციალური დანიშნულების ფინანსური დახმარების სახით ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს 19 ათასი ლარი გადაურიცხა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილთა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად 9,8 ათასი ლარი მიიღო.

საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდიების, სუბვენციებისა და მიმდინარე ტრანსფერების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 912,7 ათასი ლარი გამოიყო, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების მივლინების, სხვა საქონლისა და მომსახურების, ასევე კაპიტალური ხარჯების დაფინანსებამ 2,154 მლნ ლარი შეადგინა.

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯებმა 70,1 ათასი ლარი შეადგინა, აქედან, ფინანსთა სამინისტრომ 25,3 ათასი ლარი მიიღო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ - 29,9 ათასი ლარი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კი - 14,9 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად 304,3 ათასი ლარი გამოიყო. **ჯი ბი სი**

## თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 10 აგვისტოს ვაჭრობის შედეგების მიმოხილვა

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 10 აგვისტოს მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა (3 გამყიდველისა და 2 მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 900 000 აშშ დოლარი შეადგინა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7600 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 900 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 800 000 აშშ დოლარი შეადგინა.

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7600 ლარი.

11 აგვისტოდან ძალაში შევა ლარის აშშ დოლარის მიმართ ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7600 ლარი.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დღევანდელ საბირჟო სესიაზე 100 000 აშშ დოლარი გაყიდა. **ჯი ბი სი**

## დსთ-ს სტატკომი საქართველოს მშპ-ს ზრდის ტემპების შენელების პროგნოზს აკეთებს

დსთ-ს სტატისტიკის კომიტეტი 2006 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების შენელების პროგნოზს აკეთებს. შესაბამისი ინფორმაცია დსთ-ს სტატისტიკის კომიტეტის საიტზეა გამოქვეყნებული.

დსთ-ს ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური ტემპების ზრდის ანალიზის დოკუმენტში აღიშნულია, რომ სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპები 2006 წელს პროგნოზირებულია 106%-ის ფარგლებში, სხვადასხვა საქონელბრუნვა - 109%, იმპორტი-130%.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, დსთ-ს სტატკომის შეფასებით, 2006 წელს 107% იქნება. საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული პარამეტრი საქართველოს ბიუჯეტში 107,7%-ს შეადგენს. გაეროს სტატისტიკის განყოფილების პროგნოზი 105%-ია, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის - 106,4%.

დსთ-ს სტატკომის ინფორმაციით, წევრი ქვეყნების მშპ-ს ზრდის ტენდენციან გასულ წლებთან შედარებითნ არ შეინიშნება. მთლიანობაში ზრდა 6%-ის ფარგლებში იქნება, მაშინ, როდესაც 2005 წელს ამ მაჩვენებელმა 6,8% შეადგინა, ხოლო 2004 წელს - 8,1%.

დსთ-ს ქვეყნების მიხედვით, მშპ-ს მნიშვნელოვანი ზრდა აზერბაიჯანში იქნება, რასაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი განაპირობებს.

საქართველოს გარდა, მშპ-ს ზრდის ტემპების შენელებას დსთ-ი სტატკომი სომხეთში, ბელორუსში, ყაზახეთში, მოლდოვაში და რუსეთში ვარაუდობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქინფორმი 5 050 000 აშშ დოლარად გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შპს "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო - საქინფორმი" აუქციონის წესით გაიყიდა. ობიექტი ფიზიკურ პირთა ჯგუფმა 5 050 000 აშშ დოლარად შეიძინა.

აღნიშნული ქონება სამინისტრომ საპრივატიზაციოდ 10 ივლისს გამოაცხადა. მისი საწყისი ფასი 5 000 000 აშშ დოლარს შეადგენდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქონლის გლობალური იმპორტის მოცულობამ 10 ტრილიონ დოლარს მიაღწია

მსოფლიოს ქვეყნებმა საქონლის გლობალური იმპორტის მოცულობაში აბსოლუტურ მაჩვენებელს მიაღწიეს. გასულ წელს გლობალური იმპორტის მოცულობა 10 ტრილიონი დოლარის ნიშულზე დაფიქსირდა.

იაპონური ორგანიზაცია "საგარეო ვაჭრობის თანადგომის" ინფორმაციით, 2005 წელს გლობალური იმპორტი, გასულ 2004 წელთან შედარებით, 13,2%-ით გაიზარდა და 10 ტრილიონ 338,6 მილიარდი დოლარი შეადგინა.

აღნიშნულის მიზეზად ექსპერტები მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპებს ასახელებენ, რომელიც, მესამე წელია, ზედიზედ 5%-ის დონეზე ფიქსირდება. 2004 წელს ეს მაჩვენებელი 5,3% იყო, ხოლო 2005 წელს - 4,8%.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს მაჩვენებელი არც მიმდინარე წელს შემცირდება და საპროგნოზოდ 4,9%-ს ასახელებენ.

აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ექსპორტი, ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში გაიზარდა და გასულ წელს 42,7% შეადგინა, ანუ 2004 წელთან შედარებით 20,5%-ით გაიზარდა.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპები ამ მიმართულებით შეინიშნება რუსეთში და ინდოეთში, სადაც ზრდამ 30% შეადგინა, ხოლო ჩინეთში - 28,4%. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ექსპორტის მოცულობა, ძირითადად, ენერგომატარებლების გაძვირების ხარჯზე დაფიქსირდა და 30,9% შეადგინა.

ამასთან, გასულ წელს დაფიქსირდა გლობალური ინვესტიციების ზრდა, რომელიც 2005 წელს 23,2%-ით გაიზარდა და 964,7 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 2000 წლის მაჩვენებელზე 60%-ით მეტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ექსპერტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის შენიშვნებს ელიან

*გუშინ თბილისს ჯონ ვეიკმან ლინის ხელმძღვანელობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) შუალედური მისია ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 19 აგვისტომდე გასტანს, მისია ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შეაფასებს.*

სსფ-ს წარმომადგენლები საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდებიან. შესაძლოა, შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთანაც გაიმართოს.

ვიზიტის შედეგებს ვეიკმან ლინი 18 აგვისტოს პრესკონფერენციაზე შეაჯამებს. არ არის გამორიცხული, რომ სსფ-მ აქცენტი საქართველოში ინფლაციის მაღალ მაჩვენებლებზე გააკეთოს, რომელმაც ბოლო ორი თვის მონაცემებით, ორნიშნა ციფრს მიაღწია. მისიის რეკომენდაციით კი ინფლაცია ქვეყანაში ერთნიშნა ციფრს არ უნდა აღემატებოდეს.

ამასთან, ექსპერტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიის შენიშვნებს საგადამხდელო ბალანსის სხვაობის ზრდასთან დაკავშირებითაც ელიან. **"იმის გამო, რომ იმპორტის მოცულობა აჭარბებს ექსპორტს, მათი სხვაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა,"** - განუცხადა საინფორმაციო სააგენტო "ჯი ბი სი"-ს ეკონომიკის ექსპერტმა მიხეილ ჯიბუტმა. **"სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 2006 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საერთო საგარეო ბრუნვის 75 პროცენტს გადააჭარბა და მისი მოცულობა 1,5 მილიარდს აღემატება, რაც ექსპორტის შემცირებით და იმპორტის ზრდით არის განპირობებული,"** - დასძენს ეკონომიკის კიდევ ერთი ექსპერტი ემზარ ჯგერენაია.

ექსპერტები ელიან, რომ სსფ-ს შენიშვნას საქართველოს მთავრობა საბიუჯეტო ხარჯების არაეფექტურ ხარჯვაზეც მიიღებს.

**"ეს პრივატიზაციიდან შემოსული თანხების ზრდას უკავშირდება. 2006 წლის 7 თვეში პრივატიზებიდან ბიუჯეტში 185 მლნ ლარი შევიდა,"** - აღნიშნა ჯიბუტმა.

ამასთან, როგორც ჯგერენაიამ განაცხადა, **"სახეზეა მაკროეკონომიკური დისბალანსი. 2007-2010 წლების სამთავრობო პროგრამის თანახმად, 4 წლის განმავლობაში ყველა მიმართულებით 8-9-პროცენტიანი ზრდა არის დაგეგმილი, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, ინფლაციისგან თავის დასაცავად ზრდის მაჩვენებელი 5,5 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს."**

ცნობისათვის, საქართველოს ეროვნულ ბანკში ჯონ ვეიკმან ლინის ხელმძღვანელობით სსფ-ს შუალედური მისიის წარმომადგენლობის შეხვედრა 14 აგვისტოს გაიმართება.

*24 საათი*

# გადამხდელთა სასარგებლოდ ჩამოწერილმა თანხამ 19 859 112 ლარი შეადგინა

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე ქვეყანაში ახალი, მიუკერძოებელი კერძო არბიტრაჟის ფორმირებამდე, მეწარმეებს საშუალება აქვთ, სახელმწიფოსთან საგადასახადო დავების შემთხვევაში, საგადასახადო კოდექსით მინიჭებული უფლება გამოიყენონ და საკუთარი უფლებების დასაცავად ფინანსთა სამინისტროში შექმნილ დავების განხილვის საბჭოს მიმართონ.

საბჭოს შექმნის დღიდან - 2005 წლის 20 იანვრიდან 2006 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით - განხილულია 44 საჩივარი, რომელშიც გადამხდელები საგადასახადო სამსახურების მიერ დარიცხულ 142 759 812 ლარს ასაჩივრებდნენ. მათგან სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 20 საჩივარი, ხოლო მეწარმეთათვის ჩამოწერილმა თანხამ 19 859 112 ლარი შეადგინა.

2006 წლის 1 იანვრიდან 3 აგვისტოს ჩათვლით, განხილულია იმ მეწარმეთა 27 პრეტენზია, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ საგადასახადო სამსახურების მიერ 82 486 543 ლარის ოდენობით დარიცხულ თანხებს. აქედან სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 13 განაცხადი, რაც იმას ნიშნავს, რომ გადამხდელის სასარგებლოდ ჩამოწერილმა თანხამ ამ პერიოდში 14 807 053 ლარი შეადგინა.

საგადასახადო დავის განხილვა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სამი ეტაპისგან შედგება და სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გარდა, მეწარმეს შეუძლია მიმართოს ადგილობრივ საგადასახადო ორგანოს და საგადასახადო დეპარტამენტს.

უახლოეს მომავალში დავების განხილვის ანალოგიური სქემა ამოქმედდება საბაჟო სისტემაში, რაც საბოლოოდ ფინანსთა სამინისტროს ყველა სტრუქტურაში ხელს შეუწყობს მხარეთა თანასწორუფლებიან საწყისებზე დავის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტას. **ჯი-ეიჩ-ენი**

# შვედეთი ნავთობის და გაზის გარეშე იცხოვრებს

მერაბ ლორთქიფანიძე



შვედეთის მთავრობას შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც 2020 წლისთვის ქვეყნის ნავთობსა და გაზზე დამოკიდებულებას მინიმუმამდე შეამცირებს. გეგმა ითვალისწინებს ნედლეულად ხის გადამუშავებით მიღებული ალტერნატიული საწვავის (შემადგენლობით ის ნავთობის მაგვარია) გამოყენებას. არაა გმორიცხული, რომ აღნიშნული გეგმის გამო, შვედებმა უარიც კი განაცხადონ ჩრდილოევროპული გაზსადენის პროექტში მონაწილეობაზე და ამ გაზსადენის შვედეთთან მიერთებაზე.

შვედებს უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა იმისათვის, რომ დადგენილ დროში შეძლონ გადამამუშავებელი წარმოების ნედლეულით მომარაგება. ამისათვის, პატარა ქალაქ საველის სიახლოვეს, სატყეო მეურნეობის ინსტიტუტის სასათბურე მეურნეობაში დაითესა ათეულობით ათასი ამერიკული ფიჭვი (კონტორტა), რომელიც თურმე ციტრუსის მსგავსი სურნელით გამოირჩევა.

შვედები აქ მიღებული ნერგებით ეგრეთ წოდებული "ენერგეტიკული ტყის" გაშენებას აპირებენ, რომელშიც უმეტესად სწორედ კონტორტა გაიზრდება, ამ ხეს კი სინთეზური საწვავის (ბიოსაწვავის) მისაღებად გამოიყენებენ.

ამერიკული ფიჭვი ევროპულზე გაცილებით მეტ (დაახლოებით 40%) ხის მასალას გამოიმუშავებს, რაც მისწრებაა ბიოსაწვავის წარმოებისთვის (პიროლიზის მეთოდით ხის ნარჩენების დამუშავებით მიიღება როგორც გაზი, ასევე სინთეზური ნავთობი). რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამერიკული ფიჭვი დაავადებამედეგია და ის არ იზიდავს ცხენირემს (ლოსს), რომელიც თურმე სკანდინავიური ტყეების გამანადგურებელია.

შვედეთის მთავრობის მიერ შექმნილმა სპეციალურმა (სანავთობე) კომისიამ შეისწავლა ხის მასალისგან ხელოვნური ნავთობის და გაზის მიღების პერსპექტივა და დაასკვნა, რომ ამ ახალი ტიპის ინდუსტრიის განვითარების შემთხვევაში, შვედეთში განახევრდება მოთხოვნილება სატრანსპორტო საწვავზე, სამრეწველო ნავთობის მოხმარება კი დაახლოებით 40%-ით შემცირდება. უფრო მეტიც, გათბობისთვის საერთოდ აღარ იქნება საჭირო ბუნებრივი ნავთობპრდუქტების გამოყენება.

"ჩვენს გეგმებში არ შედის 2020 წლისთვის ნავთობის იმპორტზე უარის თქმა. მაგრამ ქვეყნის ენერგომოხმარების რესტრუქტურიზაცია იმის გარანტია იქნება, რომ მნიშვნელოვნად შემცირდება ჩვენი დამოკიდებულება ნავთობის ფასებზე და შესაბამისად, ნავთობის ფასების ზრდა ჩვენი ეკონომიკისთვის აღარ იქნება იმდენად მტკივნეული. ამასთან, ინდუსტრიის ზოგიერთ სფეროში ნავთობი სულაც აღარ იქნება უალტერნატვო საწვავი", - კომისიის დასკვნას ასეთი კომენტარები გაუკეთა შვედეთის პრემიერ მინისტრმა იორან პერსონმა.

სხვათაშორის, შვედებმა ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირებაზე ზრუნვა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყეს, როცა ირანის კრიზისმა სერიოზული ზიანი მიაყენა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებს. აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების შედეგად, სკანდინავიურმა ქვეყანამ არნახულ წარმატებებს მიაღწია - თითქმის განახევრდა თხევადი ნახშირწყალბადების გამოყენება, თუმცა იმავდროულად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგიერთი ტიპის საწვავის მოხმარება.

ახალი გეგმა ითვალისწინებს ბენზინისა და დიზელის საწვავის თანდათანობით გამოდევნას ბიოგაზით, ეთანოლითა და მეთანოლით (ეთილისა და მეთილის სპირტებით). შვედეთი ერთ-ერთი პირველია ევროპის ქვეყნებიდან, რომელიც ინტენსიურად გადადის გაზის საავტომობილო საწვავად გამოყენებაზე. ქვეყანამ უკვე შეასრულა ევროგაერთიანების გეგმის თავისი წილი. ეს გეგმა გაერთიანების წევრ ქვეყნებს ავალებს, რომ სატრანსპორტო საშუალებათა 2 პროცენტი ეგრეთ წოდებულ მწვანე საწვავს (ბიოგაზს და არა ბუნებრივ გაზს) უნდა იყენებდეს. უფრო მეტიც, 2020 წლისთვის ქვეყნის ავტოპარკის დაახლოებით მეოთხედი მწვანე საწვავს გამოიყენებს. ასეთი საწვავის მიღებას კი შვედები ტყეებსა და ველებზე მოპოვებული ნედლეულით აპირებენ.

უნდა ითქვას, რომ ხის მრეწველობა შვედეთის ძირითადი საექსპორტო წყაროა. ამ ქვეყანას კანადის შემდეგ მეორე ადგილი უკავია დამუშავებული ხის მასალის, ცელულოზისა და ქაღალდის ექსპორტის მხრივ. თუმცა, უკვე დიდი ხანია, შვედეთს თავისი ხე-ტყე აღარ ჰყოფნის და იძულებულია, ინდუსტრიის შესანარჩუნებლად, ნედლეულის დაახლოებით ათი პროცენტი უცხოეთიდან შეიტანოს.

მთავრობა აპირებს, რომ საგადასახადო შეღავათები დაუწესოს ბიოგაზისა და ბიოსაწვავის მწარმოებლებს. ეს კი იმის საწინდარი იქნება, რომ სატყეო სავარგულების მფლობელები მთლიანად გადაერთვებიან ბიოსაწვავის მწარმოებლებისთვის ნედლეულის მიწოდებაზე. ამან კი შეიძლება ხის მასალების, ცელულოზისა და ქაღალდის მწარმოებლები აზარალოს. გამოსავალი ერთია - უნდა მოხდეს იმ სახეობის ხეების გამრავლება, რომლებიც მეტ ნედლეულს მისცემენ სავარგულების მეპატრონეებს.

თავის მხრივ, ამას მოჰყვება ამერიკული ფიჭვის მავნებლების შეტანა შვედეთში, რამაც შესაძლოა, იქაური ფლორა და ფაუნაც კი დააზიანოს. მთავრობა ამ გარემოებასაც ითვალისწინებს, რის გამოც გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. ამ შეზღუდვებით ნებადართულია წლიურად ამერიკული ფიჭვის მხოლოდ 14 ათას ჰექტარზე მოშენება. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ კონტორტას ნარგავები არ უნდა განლაგდეს ტრადიციული სკანდინავიური ტყეების სიახლოვეს.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ციტრუსის სურნელის მქონე ფიჭვის შვედეთში გამრავლება და მისგან ბიოსაწვავის წარმოება ირიბად ხელს შეუშლის ჩრდილოევროპული გაზსადენის ერთი შტოს შვედეთში შეყვანას. არადა, გაზსადენის პროექტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, გერმანული კონცერნი "ეონ-ი" დაინტერესებულია რუსეთიდან იმპორტირებული გაზის გარკვეული მოცულობის შვედეთში რეალიზებით.

"სანავთობე კომისიის" დასკვნაში კი ორაზროვნად სწერია, რომ "ქვეყანა არ აპირებს თავის საზღვრებში ბუნებრივი აირს გამოყენების სტიმულრებას". რეალურად ეს იმას მოასწავებს, რომ კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და კანონპროექტების მიღების შემთხვევაში, შვედეთში რუსული გაზის ექსპორტს დიდი პრობლემები შეექმნება.

# რუსეთში ბენზინის გაძვირებაზე საუბრობენ



რუსეთის ანტომონოპოლიური სამსახური ბენზინის გაძვირების ფაქტორებით დაინტერესდა. სამსახურის უფროსის იგორ არტემიევის ინფორმაციით, შიდა ბაზარზე საწვავის გაძვირების რეალური მიზეზი არ არსებობს. მისივე განცხადებით, ნავთობკომპანიები სიტუაციას სპეციალურად ამწვავებენ.

**"ანტიმონოპოლიური სამსახური ბაზრის მონიტორინგს აწარმოებს. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ბენზინის გაძვირება ეკონომიკის რეალური მდგომარეობიდან არ მომდინარეობს. თუმცა, ერთი შეიძლება ითქვას - ფასების მატების ტენდენცია მსოფლიო ბაზარზე მართლაც შეინიშნება,"** - აღნიშნავს არტემიევი.

რუსეთის ანტომონოპოლიური სამსახურის უფროსის იგორ არტემიევის ასეთი რეაქცია გამოიწვია ნავთობპროდუქტების კომპანიების ასოციაციის ხელმძღვანელის ევგენი არკუშას პროგნოზმა. მისი განცხადებით, სექტემბერში ბენზინის ფასი კიდევ უფრო მოიმატებს და ერთი ლიტრი 95-ის ოქტანობის ბენზინის ფასი 21 რუბლი გახდება, ხოლო 92-ის ოქტანობის საწვავისა - 20 რუბლი. **ჯი-ეიჩ-ენი**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების თაობაზე სოხუმის მიერ წარმოდგენილი წინადადებების "მომავლის გასაღები"-ს შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების შესახებ სოხუმის მიერ წინადადებების "მომავლის გასაღები"-ს წარმოდგენა თავისთავად დადებითი მომენტია. საგულისხმოა, რომ დოკუმენტის პრეამბულაში ყურადღება გამახვილებულია მხარეთა შორის ურთიერთნდობის განმტკიცებისა და სამშვიდობო ინიციატივების გაზრდის აუცილებლობაზე, რამაც თავისთავად უნდა მიგვიყვანოს ორივე მხრიდან აქტიურ მოქმედებამდე.

წარმოდგენილ დოკუმენტში მისალებად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზური მხარის სურვილი, არ მოხდეს ეკონომიკური ინტეგრაციის გლობალური პროცესებიდან აფხაზეთის მოსახლეობის იზოლაცია. აგრეთვე, სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების მყარი გარანტიების შემუშავების აუცილებლობა, რაც თავისთავად შექმნის ურთიერთნდობის გაღრმავების წინაპირობას.

ამავე დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ დოკუმენტი მთლიანობაში წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ სეპარატისტულ დოკუმენტს, რომელშიც გაყალბებულია როგორც საქართველოს, ასევე ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების არსი. თავიდანვე სადავო და საკამათოა კონფლიქტის დეფინიციის "კონფლიქტი აფხაზეთში" შეცვლა "საქართველო-აფხაზეთის" კონფლიქტით, რაც სხვა არაფერია, თუ არა ყველა საერთაშორისო დოკუმენტში დადასტურებული და დასაბუთებული დეფინიციის შეგნებული უგულებელყოფა და რევიზია.

დოკუმენტის პირველი და ყველაზე ვრცელი ნაწილი "ისტორიულ წანამძღვრებს" ეხება, რომელშიც სრულად არის გაყალბებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორია, ასევე ყოვლად უსაფუძვლოა ქართული მხარის დადანაშაულება აფხაზთა ასიმილაციაში მაშინ, როცა აფხაზთა შორის, განსხვავებით ქართველთაგან, მრავლად ვხვდებით ძირძველი, გამორჩეულად ქართველური გვარების მატარებლებს.

არასერიოზული და საფუძველმოკლებულია დოკუმენტის ავტორთა მტკიცება, თითქოს ჯერ კიდევ 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია "აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ". ჯერ ერთი, ეს "დეკლარაცია" აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს კი არ მიუღია, არამედ ის მიიღო უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა აუცილებელი ქვორუმის უგულებელყოფით, დეპუტატებზე სეპარატისტების ძალდატანებით; მეორე - ერთი კვირის თავზე - 1990 წლის 31 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ლეგიტიმურმა სესიამ დეპუტატთა ხმების უმრავლესობით გააუქმა დეპუტატთა ჯგუფის მიერ 25 აგვისტოს "მიღებული" ე.წ. "დეკლარაცია" და მესამე - საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში არც სსრკ კონსტიტუციით, არც საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არც აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით არ იყო განსაზღვრული ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვების ან თუნდაც დეკლარირების მექანიზმი და აპრიორში ნებისმიერი ასეთი განზრახვა ან ქმედება ითვლებოდა ანტიკონსტიტუციურად და ანტისახელმწიფოებრივად.

არ შეესაბამება სინამდვილეს ის ფაქტიც, რომ თითქოს 1991 წლის 17 მაისს გამართულ საკავშირო რეფერენდუმზე აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის შენარჩუნებას. სინამდვილეში 50%-ზე ოდნავ მეტი დადებითი ხმა მას შემდეგ დაფიქსირდა, რაც გალის რაიონის 90 ათასი მოსახლეობა გამოთიშეს რეფერენდუმიდან და ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ხელოვნურად საგრძნობლად შეამცირეს. გარდა ამისა, მოხდა რეფერენდუმის შედეგების მასობრივი გაყალბება გუდაუთასა და ტყვარჩელში, სადაც 100%-ზე მეტი დადებითი ხმა იქნა დაფიქსირებული. ამ ფაქტის თაობაზე იმ პერიოდში საქართველოს პროკურატურამ სპეციალურად მოკვლევაც კი ჩაატარა.

სეპარატისტები უტიფრად ცრუობენ, როცა აცხადებენ,რომ 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი რეფერენდუმი აფხაზეთში არ ჩატარებულა. ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელმა სეპარატისტულმა ხელმძღვანელობამ, მართალია, რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ იძულებული გახდა, გაეთვალისწინებინა რეალობა და ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი ხელს არ შეუშლიდა საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმის აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარებას. ხელის შეშლა მართლაც არ ყოფილა. 31 მარტის შედეგებმა, მიუხედავად ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ძალების მხრიდან ბოიკოტისა, ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინს გადააჭარბა. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (347 175) 61,27%-მა, საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,73%-მა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თითქმის 60%-მა. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები არის ყველაზე დამაჯერებელი პასუხი რუსეთის ხელისუფლებისადმი, რომლის უმაღლესი რანგის წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ "ხალხის ნების" გათვალისწინების აუცილებლობაზე და მაგალითისათვის ჩეჩნეთის მოსახლეობისათვის გენოციდის მოწყობის შედეგად შეიარაღებული ძალის კონტროლის ქვეშ ჩატარებული "რეფერენდუმის" შედეგებს იშველიებენ.

სრულიად უსაფუძვლოა დასკვნა იმის თაობაზე, თითქოს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შემდეგ ყოფილ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთმანეთთან კავშირის არმქონე ორი სახელმწიფო წარმოიშვა. ამას წერენ ადამიანები, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ აფხაზეთის მოქმედი კონსტიტუციით ავტონომიური რესპუბლიკა 31 მარტის რეფერენდუმის შემდეგაც საქართველოს ნაწილად რჩებოდა. უფრო მეტიც, 1991 წლის 9 ივლისს ახალი რეალიების გათვალისწინებით, აფხაზეთის კონსტიტუციაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, სიტყვები "საქართველოს სსრ" შეიცვალა სიტყვებით "საქართველოს რესპუბლიკა". ამით სეპარატისტებმა აფხაზეთი უკვე დამოუკიდებლობაგამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკის ნაწილადაც აღიარეს.

წარმოდგენილი დოკუმენტის ავტორები მორცხვად "შეახსენებენ" საერთაშორისო საზოგადოებრიობას 1999 წლის რეფერენდუმის შესახებ, თუმცა იძულებული ხდებიან იქვე აღიარონ, რომ ქართველი მოსახლეობის დიდ ნაწილს მასში მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომაც არ ცნო იგი არცერთმა სახელმწიფომ.

ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციისა და უკანონოდ მიღებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე დოკუმენტში გაკეთებულია დასკვნა, თითქოს აფხაზეთის დამოუკიდებლობას გააჩნია სამართლებრივი და ისტორიული საფუძვლები. სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, 1990 წლიდან დღემდე სეპარატისტებმა ვერ მოახერხეს ლეგიტიმური გზით თუნდაც ერთი სამართლებრივი აქტის მიღება აფხაზეთის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. რაც შეეხება აფხაზეთის დამოუკიდებლობის ე.წ. ისტორიულ საფუძვლებს, უნდა ითქვას, რომ თავის დროზე რუსულ ისტორიოგრაფიაში, როცა იგი ნაკლებად პოლიტიზირებული იყო, გამოითქვა მოსაზრება XVI-XVII სს აფხაზთა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების შესახებ. ამ იდეას ავითარებს ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილიც. სასურველია, აფხაზეთის ისტორიის საკითხებს მიეძღვნას საერთაშორისო კონფერენცია, რათა წერტილი დაესვას სადავო პრობლემებს და ბოლო მოეღოს ისტორიის ფალსიფიკაციას.

კატეგორიულად მიუღებელია სეპარატისტთა მოთხოვნა "აფხაზეთის ხალხის" წინაშე ასიმილაციის, ომისა და ბლოკადისათვის ბოდიშის მოხდის შესახებ. როგორც უკვე ითქვა, აფხაზეთში ხდებოდა და ამჟამადაც ხდება ძირითადად ქართველთა ასიმილაცია; საბჭოთა საქართველოს, ასევე აფხაზეთის ასსრ კომუნისტური ხელმძღვანელობა მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ კრემლის პოლიტიკისა ერების დაახლოებისა და შერწყმის, ე.წ. ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების პოლიტიკისა. საქართველო (აფხაზეთის ჩათვლით), როგორც მსხვერპლი აღნიშნული პოლიტიკისა, პასუხისმგებლობას მის შედეგებზე თავის თავზე ვერ აიღებს.

ომის გაჩაღებაში კი თანაბრად დამნაშავეა რუსეთი (ბ. ელცინი), მისი მხარდაჭერით ქვეყნის სათავეში მოსული საქართველოს უკანონო რეჟიმი (ე. შევარდნაძის ხუნტა), აფხაზეთის სეპარატისტული, პრორუსული ხელმძღვანელობა (ვ. არძინბა).

არც დამნაშავე რეჟიმის ბლოკადა არის მიუღებელი საერთაშორისო სამართლისათვის. თვით გაეროს წესდების შესაბამისადაც წარმოადგენს ერთ-ერთ ბერკეტს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებისათვის. ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დსთ-ს მიერ 1996 წლის 19 იანვარს დაწესებული ბლოკადა რეალურად დიდი ხანია არ მოქმედებს. სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ მისი ოფიციალური მოხსნა, აფხაზეთის იზოლაციიდან გამოყვანა.

"ბოდიშის მოხდის" შემდგომ ეტაპად კონფლიქტის დარეგულირებისა სეპარატისტებს მიაჩნიათ ნდობის განმტკიცებისაკენ მიმართული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ, უკვე ბოლომდე დისკრედიტირებული ე.წ. რუსი სამშვიდობო ძალების დატოვება აფხაზეთში, რაც პირიქით, გააღრმავებს უნდობლობას, ვინაიდან რუსეთი რეალურად კონფლიქტის მხარეა. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა და არა ქართულ მხარეს, იმ 13-მილიარდიანი ზარალისთვის, რაზეც საუბრობენ დოკუმენტის ავტორები. მორიგი ნაბიჯი, სეპარატისტების მტკიცებით, უნდა გახდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ "გალის რაიონში მცხოვრები აფხაზეთის მოქალაქეების მიმართ ძალადობის შეწყვეტა". ეს არის უზნეობისა და უპასუხისმგებლობის უკიდურესი გამოვლინება იმ ადამიანთა მხრიდან, ვინც შუასაუკუნეობრივი მეთოდებით წლების მანძილზე ფეხქვეშ თელავს ადამიანის ელემენტარულ უფლებებს გალის რაიონში, მათ შორის სიცოცხლის უფლებაც, იმ ადამიანთა მხრიდან, ვინც კრძალავს მშობლიურ ენაზე სწავლებას, ეწინააღმდეგება გალში ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ფილიალის გახსნას და ა.შ. კარგია, რომ სეპარატისტები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ქართულ მხარესთან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, თუმცა, მხოლოდ "სასაზღვრო" ზონაში.

"პოლიტიკური პროცესის ათვლის წერტილად, - ნათქვამია დოკუმენტში, - უნდა იქცეს აფხაზეთისა და საქართველოს ლიდერების შეხვედრა, სადაც საერთაშორისო გარანტიების პირობებში ხელი მოეწერება სამშვიდობო ხელშეკრულებას; ეს პროცესი გაგრძელდება მხარეთა კონსულტაციებით პრეზიდენტების დონეზე და დასრულდება საქართველოს ინიციატივით აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით", - ასე თვლიან სეპარატისტები. ფაქტობრივად ეს არის პოლიტიკური პროცესის ჩაშლის რუსული გეგმა, მაგრამ იგი არანაირად არ შედის საქართველოს ინტერესებში. ერთდროულად, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს გააჩნია სეპარატისტებთან სამშვიდობო შეთანხმების დადების მწარე გამოცდილება.

ითვალისწინებენ რა საერთაშორისო ორგანიზაციების, პირველ რიგში გაერო-ს პოზიციას, დოკუმენტის ავტორები თითქოს თანახმა არიან, დააბრუნონ დევნილები, განსაკუთრებით გალის რაიონში. ამავე დროს აფრთხილებენ საერთაშორისო საზოგადოებას ამ აქციის ნეგატიური შედეგების შესახებ, რითაც კვლავ აფიქსირებენ თავიანთ ნამდვილ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი, რათა შეინარჩუნონ ეთნოწმენდის შედეგად მიღწეული დემოგრაფიული სურათი.

ზოგადად მისაღებია ეკონომიკური თანამშრომლობის იდეა, რომელიც გულისხმობს რკინიგზის აღდგენას, ენგურჰესის რეაბილიტაციას, კოოპერაციას ევროკავშირის სამეზობლო სტრატეგიის ფარგლებში და ა.შ. ამავე დროს იგი ზედმეტად პოლიტიზირებულია. სეპარატისტების აზრით, ეფექტური თანამშრომლობა ოთხი მიმართულებით - ეკონომიკის, ენერგეტიკის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში შესაძლებელი გახდება საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში. ცხადია, მსგავსი პოზიცია ხელს არ შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენას და განვითარებას.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესს ეხება, სეპარატისტები მოითხოვენ აფხაზეთის წარმომადგენელთა დაშვებას გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე, რათა საბჭოს წევრებმა კონფლიქტის ერთ-ერთი მხარისაგან მიიღონ ობიექტური ინფორმაცია. ამასთან დაკავშირებით კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური წარმომადგენელი არის დევნილებში მყოფი უმაღლესი საბჭო და მის მიერ დანიშნული მთავრობა. ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მოისურვებს მიიღოს მართლაც ობიექტური ინფორმაცია აფხაზეთის წარმომადგენლებისაგან, ვალდებულია ეს ინფორმაცია პირველ რიგში ლეგიტიმური ხელისუფლებისაგან მიიღოს და არა ეთნოწმენდის ორგანიზატორებისაგან, იმ ადამიანებისაგან, ვინც უცხო ქვეყნის ხიშტებზე დაყრდნობით, ძალადობითა და სიცრუით ცდილობს მიზნის მიღწევას.

ამრიგად, "აფხაზური მხარის წინადადებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ყოვლისმომცველი დარეგულირების შესახებ" სხვა არაფერია, თუ არა ორ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის კონცეფცია. მთლიანობაში ის წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს და საფრთხეს უქმნის საქართველოს დიდი ძალისხმევით შენარჩუნებულ სამშვიდობო პროცესს. ვინაიდან მათი მიზანია არა ამ პროცესის შენარჩუნება და გაღრმავება, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის დაკანონებისათვის პოლიტიკური და სამართლებრივი წანამძღვრების შექმნა. ამიტომ ირონიულად ჟღერს მისი სახელწოდებაც - "მომავლის გასაღები". სინამდვილეში კი უსაფუძვლო პრეტენზიებითა და არარეალური მოთხოვნებით დოკუმენტის ავტორებმა მჭიდროდ ჩარაზეს მომავლის კარები, რათა არანაირი გასაღები მას ვერ მოერგოს.

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. უარყოფითად შეფასდეს "აფხაზური მხარის წინადადებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ყოვლისმომცველი დარეგულირების შესახებ".

აღინიშნოს, რომ მთლიანობაში აფხაზური მხარის მიერ მომზადებული კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე წინადადებები "მომავლის გასაღები" სხვა არაფერია, თუ არა ორ სუვერენულ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების კონცეფცია, რაც დასტურდება დოკუმენტის იმ უმთავრესი დებულებით, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა არის 1999 წლის რეფერენდუმის საფუძველზე შემდგარი ფაქტი, რომ ის არ შეიძლება იყოს მოლაპარაკების თემა და აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობა გადაწყვეტს რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კონკრეტულ საკითხებს, რაც თითქოსდა იქნებოდა სახელმწიფოებს შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საფუძველი.

2. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო კვლავ გამოთქვამს მზადყოფნას, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კონფლიქტის შედეგად აფხაზეთის გახლეჩილი მოსახლეობის გაერთიანებას, მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, ამ მიზნით სახალხო დიპლომატიის წახალისებას, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და სხვა კავშირების აღდგენას.

მთლიანად იზიარებს რა აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების იდეას, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო კვლავ ადასტურებს, რომ იგი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დევნილთა უპირობო დაბრუნების გზითაა შესაძლებელი და მზად არის მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანებას, მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, ამ მიზნით სახალხო დიპლომატიის წახალისებას, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და სხვა კავშირების აღდგენას.

აფხაზეთში კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს. დანაშაული იქნება ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება და "მომავლის გასაღების" მსგავსი ილუზორული პროექტებით სამშვიდობო პროცესის შეფერხება.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია*

*2006 წლის 29 ივნისი*

# თუ მტერი დაიძრება, ისინი პირველები დახვდებიან მას

*რეპორტაჟს გთავაზობთ ოდნავი შემცირებით შესავლის გარეშე, სადაც ავტორი გადმოსცემს მოკლე გასაუბრებას აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსთან ანატოლი ზაიცევთან, რომელსაც იგი დაუმშვიდებია, ჩვენი მზადყოფნის მიუხედავად პანიკის საფუძველი არ არისო. მაგრამ, წერს ჟურნალისტი, გაგონილს დანახული სჯობიაო და ამიტომ კოდორში წასვლა ვიჩქარეო.*

ნატალია შულგინა
*გაზეთი "აფხაზეთის რესპუბლიკა"*

ადრე ცაბალში და ლათაში დავდიოდით შინდისათვის, კენკრისათვის და კაკლისათვის, რომლებიც სტალინის პერიოდში გასახლებულ ბერძენთა ნასოფლარებზე ხარობს. მონადირეებს კი ეს ადგილები ფრინველის სიმრავლით იზიდავდა. ეს მცენარეები დღესაც ისევე ყვავიან, როგორც ადრე, ჭიკჭიკებენ ჩიტები, სადღაც ღრუბლებში კი გამომწვევად კივის ფრთაგაშლილი არწივი და თითქოს საფრთხეც არ არსებობს... მაგრამ ეს სურათი მოჩვენებითია, რადგან კოდორის ხეობა ისევ გადაიქცა სახიფათო ტერიტორიად. გადავეჩვიეთ აფეთქებებს, სროლას. მოვდუნდით, მაგრამ აღმოჩნდა, ნაადრევად - ჩვენ ისევ ომის პირას ვართ...

ბოლოს აქ 2001 წლის დეკემბერში ვიყავი, რეზერვისტებთან ერთად ავედი მთაში ბლოკპოსტების შეცვლაზე. აი, დღესაც მივდივართ ლათაში. ქვემოთ რჩება ცაბალი და ჩვენ ვხედავთ სოფლებს - ჩინას, გიორგიევსკოეს, მრამბუს, ამტკიალს. მახსოვს, რა ხდებოდა აქ 2001 წელს: არ გააჩნდათ რა სრული ინფორმაცია, რეზერვისტები ხროვა-ხროვა შეცვივდნენ ხეობაში, შექმნეს ქაოსი და არავინ იცოდა, ვინ ვის ემორჩილებოდა. მხოლოდ შემდეგ მოსულმა გენერალმა სერგეი პლატონის ძე დბარმა შეძლო წესრიგის დამყარება... დღეს აქ სიჩუმეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შორიახლოს ჩვენი მეომრები არ არიან.

ომის შესახებ შეგვახსენებს დანგრეული სახლები და მიტოვებული კარმიდამო. ადგილობრივი მოსახლეობა ბოლო მოვლენების შემდეგ, ძირითადად, წავიდა. დარჩნენ მხოლოდ მტკიცე ხასიათის ადამიანები და ისინი წასვლას არ აპირებენ. მათ ეზოებში წითლად მოსჩანს "შამპანის" ვაშლები, კაცის სიმაღლე სიმინდი, ფერდობებზე აძოვებენ საქონელს. სოფელ ამტკიალის ხიდს ადგილობრივი მოსახლეობა იცავს. ისინი ხელს გვიქნევენ.

- არ გეშინიათ? - ვეკითხები მოხუც სომეხს.

- რისი უნდა მეშინოდეს - ეს ჩვენი მიწაა, აფხაზეთის მიწა, - მპასუხობს ის და ასწორებს ავტომატის საკიდს.

ჩვენს ბლოკპოსტამდე მიმავალი გზა, ჩვეულებრივ, ლამაზია და იდუმალი. ქვემოთ მის რელიეფს იმეორებს კოდორის ლურჯი წყალი... ოდესღაც ამ გზაზე გადიოდა პოპულარული ტურისტული მარშრუტი. ათასობით ადამიანი მოდიოდა ამ გამოქვაბულებისა და ჩანჩქერების სილამაზის სანახავად. ცხადია, მაშინ უკეთესი გზა იყო. ახლა ზოგიერთი ადგილები წყლით



*მდინარე კოდორი.*

არის გადარეცხილი და მგზავრობა რისკია. მანქანა მორიგ ორმოში ვარდება და გული გიჩერდება - რითი არ ჰგავს ეს "რბოლას გადარჩენისათვის"!

გავიარეთ რუსი სამშვიდობოების 106-ე პოსტი და, როგორც იქნა, მივაღწიეთ ჩვენს ბლოკპოსტს. იმის იქით არის მხოლოდ რუსული 107-ე პოსტი და, აჰა, ხელის მიწვდენაზეა კოდორის ზედა ნაწილი.

ჩვენი სამხედროები საიმედოდ არიან გამაგრებულები, ეს არის მუდმივი ბლოკპოსტი და აქ ხელშეკრულებით მსახურობენ. ბლოკპოსტის უფროსის დავით პაპბას თქმით, წინა წლებისაგან განსხვავებით, სრულიად უზრუნველყოფილები არიან კავშირგაბმულობით, ტექნიკით, საბრძოლო მასალით, მედიკამენტებით და საკვებით. დავითმა დაამთავრა სოხუმის სამხედრო სასწავლებელი და, უკვე ორი წელია, აქ არის.

- რა მოხდება, მტერი რომ წამოვიდეს? - ვეკითხები მას.

- ჩვენ აქ რისთვის ვართ? - გაკვირვებით სწევს იგი წარბებს, - ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ დახმარების მოსვლამდე თავდასხმა მოვიგერიოთ.

- კი, მაგრამ თქვენ ხომ ცოტანი ხართ? - მივმართავ გვერდზე მდგომ ბიჭებს. ერთი სერიოზული ბიჭი ეშმაკურად იღიმება და მეუბნება: "მოწინააღმდეგესაც ასე ეგონოს, "პაკაზუხა" არ გვინდა".

- თქვენ ნუ ინერვიულებთ, საერთო ჯამში მშვიდი ვითარებაა, - გვერთვება საუბარში ასეულის მეთაურის უფროსის მოადგილე არკადი ჯინჯოლია, - მართალია, დაზვერვამ ბლოკპოსტის მაღლა საეჭვო კვალი აღმოაჩინა, მაგრამ რამდენიმე დღეა ვაკვირდებით და დაუპატიჟებელი მომხდურები არ არიან, თუმცა ვიზუალურად მოწინააღმდეგის დანახვა ძნელია, გამწვანება გვიშლის. დაზვერვაში გამოცდილი ადამიანები გვყავს, რომლებმაც გამოიარეს ომიც და გალის და კოდორის მოვლენებიც. ტყუილად კი არ ამბობენ, შეცდომებზე სწავლობენო. ჩვენ უფრო ჭკვიანები გავხდით. ამის გარდა, დიდი როლი ითამაშა ბოლოდროინდელმა სწავლებებმა. უფროსები მუდმივად ახალგაზრდების გვერდით არიან. ბრძოლის დროს ხომ მთავარია, მეგობრის ერთგულება გრძნობდე.

და რაოდენი სიმშვიდე იგრძნობოდა ამ ბიჭებში და რაოდენი თავდაჯერებულება საკუთარ ძალებში.

ჩვენი საუბრის დროს მოვიდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მერაბ ქიშმარია და დაიწყო თათბირი. დავინტერესდი ქიშმარიას ვიზიტის მიზნით.

- ადგილზე ვამოწმებთ ბლოკპოსტის მზადყოფნას, ვასწორებთ ხარვეზებს, - თქვა მან.

- ნახეთ რამე ხარვეზი?

- თითქოს ყველაფერი რიგზეა, არის წვრილმანი გაუთვალისწინებლობა მომარაგებაში, მაგრამ მალე გამოვასწორებთ, - მიპასუხა გენერალმა და იქვე მისცა მითითება მასთან ერთად ამოსულ ზურგის უფროსს.

ამასობაში ბიჭებმა კენკრა მომართვეს. როგორ მსახურობთმეთქი? ხუმრობით მიპასუხეს: "სიმშვიდეა. მთის ჰაერი, ეკოლოგიურად სუფთა წყალი, კოდორი გვერდზეა, იბანავე თუ გინდა. კურორტია".

მეკითხებიან ქალაქის ამბებს, რამდენი დამსვენებელია...

უნდა ითქვას, რომ ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ კოდორის ხეობის ზედა ზონას ჩვენ ვერ ვაკონტროლებდით. ყველას კარგად ესმოდა, რომ აქ სანდო ხალხი არ ცხოვრობდა. ადგილობრივი სვანები აფხაზურ არმიას ებრძოდნენ 1992-1993 წლებში. 2001 წელს კი მათ გილაევის ხალხი შემოიყვანეს. მაშინ აფხაზი სამხედროები, რომლებიც კოდორის მოვლენებში მონაწილეობდნენ, ხვდებოდნენ, რომ გაჩერება არ შეიძლება და საჭიროა კოდორის ზედა ზონის გაწმენდაც.

შეიძლება, ასეც იყო საჭირო, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლება სისხლისღვრას მოერიდა.

...უკანა გზა ყოველთვის უფრო მოკლეა. ჩამოვიტოვეთ არტილერისტები, "სპეცნაზის" პოსტი. ჩვენ გველოდება სახლი, მაგრამ ბიჭები იქ დარჩნენ, რათა დაიცვან ჩვენი სიმშვიდე. და მე ვიცი, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ისინი დაიცავენ თავის სამშობლოს. თუნდაც ამისათვის თავგანწირვა დასჭირდეთ.

პროექტის მხარდამჭერი Conciliation Resources

## ავიახაზი სპეციალურად მწეველთათვის

### გერმანია კარგად დავიწყებული ტრადიციის აღდგენას გეგმავს



"ბი-ბი-სი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გერმანელი მეწარმეები მუშაობას იწყებენ ახალი ავიახაზის დაარსებაზე, რომლის თვითმფრინავებიც მხოლოდ მწეველებს მოემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო ტრანსპორტში სიგარეტის მოწევა ნოვაცია სულაც არ არის, ეს ტრადიცია თითქმის დავიწყებას მიეცა, თამბაქოს წინააღმდეგ მსოფლიო მასშტაბით გაჩაღებული კამპანიის წყალობით. თუმცა, როგორც ირკვევა, "ძველი კეთილი ტრადიციის" აღდგენა ყოფილი საბირჟო ბროკერის ალექსანდრე შოპმანის ინიციატივით მალე მოხერხდება. ყოფილი ბროკერი ამჟამად დაფინანსების წყაროს მოძიებითაა დაკავებული, რომელიც მის ინიციატივას ხორცს შეასხამს და ახალ ავიაკომპანიას სახელწოდებით Smintair - Smoker's International Airways (მწეველთა საერთაშორისო ავიახაზები) ამოქმედებას შეუწყობს ხელს. შოპმანი ავიაკომპანიის მიერ დაქირავებული Boeing-747-ის მეშვეობით დიუსელდორფი-ტოკიოს რეისების ამოქმედებას აპირებს.

თუ შოპმანის იდეით ვინმე დაინტერესდება, ახალი ავიაკომპანია მუშაობას უკვე 2007 წლის ზაფხულში შეუდგება. იდეის ავტორის თანახმად, თვითმფრინავს არ ექნება ე.წ. ეკონომკლასი, რადგან ავიაკომპანიის კლიენტები მხოლოდ მსხვილი ბიზნესმენები შეიძლება იყვნენ, რომლებიც თავს ამგვარი კომფორტის უფლებასაც მისცემენ. თვითმფრინავში სულ 138 ადგილი იქნება ნაცვლად ჩვეულებრივი 416 ადგილისა. თვითმფრინავის ზედა ბაქანზე ჩვეულებრივი სავარძლების ნაცვლად კი სპეციალური მოსასვენებელი ოთახი იქნება განთავსებული.

თვითმფრინავებში სიგარეტის მოწევის აკრძალვას შოპმანი უფრო ავიაკომპანიის ეკონომიკური დაინტერესებით ხსნის, ვიდრე პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვით. მისი თქმით, ავიაკომპანიებს სპეციალური კონდიცირების სისტემის ხარჯების თავიდან აცილება უფრო აღელვებთ, ახალი ავიაკომპანია კი არც ამ ხარჯებს შეუშინდება და სიგარეტის მოწევის პარალელურად მგზავრებს არც სუფთა ჰაერით სუნთქვის კომფორტს მოაკლებს.

ავიაგადაზიდვებზე ლიცენზიის მისაღებად ახალ ავიაკომპანიას დაახლოებით 40 მილიონი ევროს მოძიება მოუწევს, სამაგიეროდ კუბური სიგარების "მონტე კრისტოს" მოყვარულებს "ლუფტჰანზას" თვითმფრინავებში გაჩენილი ნოსტალგია აღარ შეაწუხებთ.

## დასახლებული პუნქტი

არქიტექტორის და მხატვრის ალექსანდრე ბროდსკის პერსონალური გამოფენა გაიმართება ვენეციის არქიტექტორთა საერთაშორისო გამოფენაზე. მისი გამოფენის პირობითი სახელწოდებაა "დასახლებული პუნქტი", რომლითაც იგი რუსეთს წარადგენს. ბიენალეს საერთო თემაა "ქალაქი, არქიტექტურა და საზოგადოება". ვენეციაში რუსული პავილონის კურატორის ევგენი ასსის თქმით, ბროდსკის გამოფენა შვიდი ინსტალაციისგან შედგება და მისი სახელწოდებაა "რამდენიმე ეპიზოდი საყვარელი ქალაქის ცხოვრებიდან.

არქიტექტორის გადმოცემით." ერთ-ერთი პროექტი ვენეციის გამოფენაზე უკვე იყო წარმოდგენილი, რომელსაც ეწოდებოდა "მოხუცი ფეხბურთელების სახლი" და, რომელმაც მიიღო გრანპრი 2005 წელს "არხ მასკვა" გამოფენაზე. ამ ბიენალეზე მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუსეთის სტუდენტებს, მაგრამ კურატორმა შეცვალა კონცეფცია, რომელშიც ბროდსკიმ იპოვა ადგილი."

ალექსანდრე ბროდსკი - მოსკოველი არქიტექტორია, რომელიც 1970-1990 წლებში მუშაობდა ილეი უტკინთან ერთად. იგი იღებდა მონაწილეობას ჯგუფურ გამოფენებში და არაერთი საერთაშორისო კონკურსის ჯილდო აქვს მიღებული.

# ადამიანები არქიტექტურულ გარემოში

### არქიტექტორ ვაჟა აფციაურს მონოგრაფიის შესახებ

არქიტექტურა, თავისი ბუნებით, შემოქმედებითი ხელოვნებაა, რომელიც ქმნის ჰარმონიულ წესრიგს, ორგანიზაციას უკეთებს მატერიალურ სამყაროს ადამიანის კეთილდღეობისთვის. არქიტექტურა - გარემოა, რომელიც აკავშირებს ადამიანს ბუნებასთან, გარემოა, რომელსაც კაცობრიობა ქმნის, რათა იცხოვროს და შთამომავლობას დაუტოვოს მემკვიდრეობად, ე.ი არქიტექტურა შეიძლება ითქვას, მოიცავს სოციალურ და ეკოლოგიურ მხარეებსაც, რომელსაც ეხება არქიტექტურის დოქტორი ვაჟა აფციაური მონოგრაფიაში "სოციალურ-ეკოლოგიური არქიტექტურა".




არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, როდესაც აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში საბაზრო ურთიერთობის სწრაფი ზრდის პირობებში ტექნოლოგიური პროცესები ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივი ლანდშაფტების კომპონენტების მდგრადობის შენარჩუნებას. ინტენსიურად ჭუჭყიანდება ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი და ეს დისკომფორტი დღითი დღე იზრდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ავტომობილების გამონაბოლქვებით, ელექტრომაგნიტური გამოსხივებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს მოსახლეობაში სხვადასხვა დაავადებათა მნიშვნელოვან ზრდას (ფილტვების, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, კანისა და სხვ.). ასეთი მდგომარეობის გაგრძელებისას ახლო მომავალში საქართველოს მოსახლეობის დეგრედაცია გარდაუვალია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ ადგილის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ეკონომიკის, მხატვრული გამოსახველობის და ბევრი სხვა საკითხი იკავებს მნიშვნელოვან ადგილს არქიტექტურის თეორიასა და პრაქტიკაში, სოციალურ-ეკოლოგიური მუშაობა ჯერჯერობით პირველ ნაბიჯებს დგამს. ამდენად, ყოველი ცდა და ამ მიმართულებით მხოლოდ სიკეთის მომტანი და მისასალმებელია. იგივე ითქმის მონოგრაფიაზე, რომელიც საზოგადოებამ მიმდინარე წელს მიიღო.

მონოგრაფაში წარმოდგენილია საცხოვრისის სოციალ-ეკოლოგიური გამოკვლევების ძირითადი მიმართულებანი და კონცეფციები - ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და დასახლებათა განაშენიანების კეთილმოწყობის შეფასების ასპექტები.

მონოგრაფიის სტრუქტურა სწორია და ცხადი, ამასთან, ბევრის მომცველი საცხოვრებელი გარემოს ლანდშაფტური დაგეგმარების, კეთილმოწყობისა და სოციალურ-ეკოლოგიური გაჯანსაღების პრობლემების მოთხოვნილებები თანამედროვე ზრდადი ურბანიზაციის პირობებში მოცემულია სხვადასხვა, კერძოდ, გლობალურ, რეგიონალურ და ლოკალურ-ტერიტორიულ დონეზე და გამოვლენილია თანამედროვე ტექნოლოგიების, არქიტექტურულ-გეგმარებითი, მხატვრული და სხვა გადაწყვეტის თავისებურებანი, კომფორტის განმსაზღვრელი ელემენტები (თავი 1,2,3). ასევე წარმოდგენილია თბილისის სოციალურ-ეკოლოგიური კეთილმოწყობის პრინციპები (თავი 4) და საინჟინრო-კომუნიკაციური სტრუქტურების ეოლოგიური სრულყოფის ამოცანები (თავი 5).

პრობლემა დასმულია ფართოდ, არა მხოლოდ ცალკეული ქალაქის, არამედ საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების პოზიციებიდან, რაც მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ამ ეტაპზე. ამ შემთხვევაში საჭიროა საკითხისადმი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სფეროთა წარმომადგენლების კომპლექსური მიდგომა, წინაალმდეგ შემთხვევაში, თავს ვერ დავაღწევთ გამოუსწორებელ შეცდომებს მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით.

ნაშრომი გამიზნულია სხვადასხვა მიმართულები მომუშავე სპეციალისტებისთვის, არქიტექტორებისთვის, მშენებლებისათვის, სტუდენტებისათვის, ამ პრობლემებით დაინტერესებული ფართო წრისათვის, ასევე მთავრობის მესვეურთათვის.

მონოგრაფია მხოლოდ მონოგრაფიად რომ არ დარჩეს და მას პრაქტიკული გამოსავალი ჰქონდეს, იგი გაგრძელებას მოითხოვს. მასში წარმოდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები ძალას შეიძენს და დაინერგება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფართო მეცნიერულ კვლევისა და ექსპერიმენტს დაექვემდებარება. ისმის კითხვა: სად შეიძლება განხორციელდეს ეს სამუშაო, როდესაც დღეს ფაქტიურად არ მუშაობს თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი და ექსპერიმენტული დაპროექტების ინსტიტუტი და არც უმაღლეს სასწავლებლებშია სამეცნიერო ცენტრები?

აღნიშნულის უზრუნველყოფა მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომპლექსური კვლევის - სამეცნიერო-კვლევითი-საპროექტო ცენტრის შექმნითი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რამეთუ, აქ თავმოყრილია გარკვეული სამეცნიერო ძალები და, ამასთან, არქიტექტურის პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული სპეციალური განათლების საკითხებთან. ამ შემთხვევაში დასმულ პრობლემათა გადაწყვეტა გაცილებით ეფექტური იქნება და სავსებით შეესაბამება ქვეყნის მართვის დღევანდელ კურსს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების რეფორმის მიმართულებით. ამასთან, გაფართოვდება იმ მატერიალური ბაზის ფუნქციონირებისა და სამეცნიერო კადრების აღდგენა-მოზიდვით, რომელიც არსებობდა თბილისის ზონალურ ინსტიტუტში.

ასეთი სახელმწიფოებრივი მიდგომა საფუძვლად დაედება:

- სახელმწიფო სახსრების ოპტიმალურად ხარჯვას;
- განთესილი, ფაქტობრივად უმუშევარი მაღალპროფესიული ეროვნული კადრების დასაქმებას;
- მაგისტრატურის სტუდენტთა უშუალო მონაწილეობას სამეცნიერო-ლაბორატორიულ-ექსპერიმენტულ სამუშაოებში;
- კერძო მენაშენეთა და სახელმწიფო ინტერესების კოორდინირებულ წარმართვას;
- ახალი, დროში მოთხოვნების შესაბამისი, ეკონომიკური და მაღალმხატვრული არქიტექტურული გარემოს შექმნას.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის არქიტექტურული გეგმარების საფუძვლების კათედრის გამგე, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი - ნანული თევზაძე*


## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სატენდერო განცხადება
## სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს შორის

**საკრედიტო საოპერაციო ნომერი:** 35 601

**მოწვევა საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**

**ქალაქ ფოთის თვითდენითი წყალმომარაგების სათავე ნაგებობისა და მილსადენის მშენებლობა (ღროულის წყარო-ნოსირის მონაკვეთზე)**

**სატენდერო პაკეტი:** EBRD/W/ICB/01-2006

წინამდებარე განცხადება წარმოადგენს სატენდერო მოწვევის გაგრძელებას ზემოხსენებულ პროექტზე, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წლის 15 მაისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინტერნეტ გვერდზე.

შ.პ.ს. "ქ.ფოთის წყალკანალი", შემდგომში მოხსენებული როგორც "დამკვეთი", აპირებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მიღებული სესხის ნაწილით დააფინანსოს ფოთის თვითდენითი წყალმომარაგების ნაგებობისა და მილსადენის მშენებლობის (ღროულის წყარო - ნოსირის მონაკვეთი) პროექტი. ტენდერის პროცესის მართვასა და კონტრაქტის შესრულებას, "დამკვეთი"-ს სახელით ახორციელებს პროექტის განმახორციელებელი სააგენტო - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

"დამკვეთი" იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით, რომელიც დაფინანსებული იქნება სესხის ნაწილიდან და შედგება:

სამუშაოები ითვალისწინებს თვითდენითი წყალმომარაგების სათავე ნაგებობისა და მისლადენის (47 კმ) მშენებლობას, რომელიც მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- სათავე ნაგებობა წარმადობით 300 ლიტრი/წამში;
- თვითდენითი მილსადენი - 47 კმ;
- საქლორატორო წარმადობით 1 კგ/საათში და ზომებით: 6მX8მ.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

- მიწის სამუშაოები (თხრილი და ყრილი) - 120 000 მ3
- ფოლადის მილსადენი - 3,4 კმ;
- მინაპლასტიკის მილი (GRP) D=400 მმ - 7,6 კმ;
- მინაპლასტიკის მილი (GRP) D=500 მმ - 36 კმ;
- ბეტონის სამუშაოები - 330 მ3;
- ესტაკადა - 400 მ;
- მილსადენზე ჭების დამონტაჟება - 50 ცალი.

ქ. ფოთის თვითდენითი წყალმომარაგების სათავე ნაგებობა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოს რეგიონში. ხოლო, წყალმომარაგების წყარო მდებარეობს მარტვილის რაიონში, სოფელ ბალდიდან 6 კილომეტრში.

სამუშაოების ხარძლივობაა 18 თვე.

ბანკის სესხით დაფინანსებული სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ღია ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღოს ფირმებმა ნებისმიერი ქვეყნიდან. ბანკის სესხის ნაწილით არ დაფინანსდება პიროვნების ან ერთეულების, ან საქონლის იმპორტის ხარჯები, თუ ასეთი გადახდები ან იმპორტი აკრძალულია გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაეთიანებული ერების წესდების VII მუხლის საფუძველზე.

კონკურსანტები მოწვეულნი არიან წარმოადგინონ წინადადება მთლიან კონტრაქტზე.

იმისათვის, რომ მინიჭებულ იქნას კონტრაქტი კონკურსანტი (ან მასთან ასოცირებული კომპანია) უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

a) კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 6,2 მილიონი ევროს ექვივალენტი;

b) კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული არანაკლებ 5 მილიონი ევროს ღირებულების ექვივალენტის და ზემოხსენებული სამუშაოების მსგავსი სირთულის მქონე მინიმუმ ორი კონტრაქტი.

გ) კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს კრედიტის აღების ან სხვა ფინანსური სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური სახსრების ოდენობა უნდა იყოს 1,75 მილიონი ევროს ექვივალენტი;

დ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარიში მოგებისა და ზარალის ჩვენებით და აუდიტორული დასკვნა, რათა აჩვენოს კომპანიის მყარი ფინანსური პოზიცია და გრძელვადიანი მომგებიანობა.

ე) ქართული კომპანიებისთვის: კონკურსის აუცილებელი პირობაა ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა საგადასახადო დავალიანება იქნას გადახდილი. საკონკურსო წინადადებაში ასევე უნდა იყოს ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) კონკურსანტს უნდა ჰყავდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ძირითადი პერსონალი შემდეგ თანამდებობებზე: შემოთავაზებულ პროექტის მენეჯერს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 წლის საერთო სამუშაო გამოცდილება, აქედან 7 წელი მსგავსი ტიპის სამუშაოზე და 5 წელი მსგავს თანამდებობაზე.

ზ) ინფორმაცია სასამართლო პროცესის შესახებ რომელშიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა კომპანია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. საქმის წარმოების დეტალების/ისტორიის ჩვენების გარეშე.

თ) მანქანა-დანადგურების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა კონტრაქტის განსახორციელებლად წარმატებული კონკურსანტის მიერ მითითებულია სატენდერო მონაცემებში.

იმისათვის, რომ დადგინდეს კონკურსის მონაწილის შესაბამისობა 3.6 (ა) და (გ) ქვე-მუხლში მოცემული მინიმალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმების თანახმად, უნდა შეჯამდეს ერთობლივი საწარმოს თითოეული პარტნიორის მონაცემები; თუმცა, კონსორციუმის შემთხვევაში თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს ინდივიდუალური კონკურსის მონაწილესათვის ქვე-მუხლში 3.6(ა),(ბ) და (გ) მითითებული მინიმალური კრიტერიუმის 25 %, ხოლო მთავარმა პარტნიორმა 40 %.

საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 360 ლარის (ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, პლიუს კურიერის ხარჯები, თუ კონკურსანტს სურს, რომ დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კურიერის საშუალებით) გადახდისას. მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მყისვე გაგზავნილ იქნება კურიერის საშუალებით, თუმცა დაკარგვის ან მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეკისრება "დამქირავებელს". შეძენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლი შეიძლება გაეგზავნოს კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადახდა იწარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:

ბანკი რესპუბლიკა. გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი საქართველო
SWIFT: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with
Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104
ა.შ.შ. დოლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 334 180 001
ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 383 408 00 01
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
შესაბამისი მითითებით: "მოწვევა სატენდერო პაკეტის შეძენაზე N01-ფოთი"

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია, რომლის ფორმაც მითითებული სატენდერო დოკუმენტაციაში, 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ევროზე ან 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარზე (ან ექვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში).

საკონსურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 25 სექტემბრისა, 14:00 სთ. (ადგილობრივი დროით).

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 25 სექტემბრს, 14:00 საათზე (ადგილობრივი დროით), კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:**
**ბ-ნი მინდია გადაევი, აღმასრულებელი დირექტორი**
ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ
ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70; 92 34 69
ფაქსი: (995 32) 94 04 39
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

# თორთლაძემ K2-სა და ამინდს ვერ გაუგო

ბიბა ბურასაშვილი

დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალის K2-ის, იგივე ჩოგორის (8611 მ.) დალაშქვრამდე თითქოს მეტრები რჩება, მაგრამ ამინდი ჭირვეულობს და ექსპედიციაც გამოდარებამდე კარავში შეყუჟულა. მათ შორის ქართველი მთამსვლელი გია თორთლაძეც, რომელიც ექსპედიციის ხელმძღვანელ რუს სერგეი ბოგომოლოვთან მწვერვალზე საიერიშოდ ფანჯარის მოლოდინში იყო. საქმე ის არის, რომ თორთლაძემ გუდა-ნაბადი აიკრა და საბაზო ბანაკი დატოვა.

ესეც ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურები, 28 ივლისიდან მოყოლებული დღემდე, რომელიც განვლი მარშრუტს ნაბიჯ ნაბიჯ ასახავს.

## 28 ივლისი:

გუშინ ჩვენი პირველი ჯგუფი საბაზო ბანაკში დაბრუნდა. მანამდე კი სააკლიმატიზაციოდ მესამე ბანაკში გაათენეს ღამე, ხოლო 26 ივლისს 7800 მეტრს მიაღწიეს, სადაც მეოთხე ბანაკის მოსაწყობად საჭირო ინვენტარი დატოვეს.

გუშინ საბაზო ბანაკში დღესასწაული იყო - ორმა იტალიელმა (ცოლ-ქმარი) 26 ივლისს K2 დალაშქრა. წლეულს ეს პირველი ასვლა იყო თანაც ჟანგბადის ბალონების გარეშე. ოთხი კაცისგან შემდგარი იტალიელთა ექსპედიცია საბაზო ბანაკში ჩვენზე ოთხი დღით ადრე დაბრუნდა. ისინი აქ პირდაპირ ნეპალიდან ჩამოვიდნენ. უფრო სწორად, დჰაულაგირი (დედამიწის სიმაღლით მეშვიდე მწვერვალი. 8167 მ.) დალაშქრეს.



თორთლაძემ ჰიმალაებიდან გუდა-ნაბადი აიკრა.

ჩვენს მარშრუტზე მყოფი ექსპედიციები საერთო პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით - თოვლი და ყინული სწრაფად დადნა, რამაც გააშიშვლა დიდი რაოდენობით ქვები და ლოდები. 5700-დან 6700 მეტრამდე მონაკვეთი ქვათაცვენისთვის მეტად საშიში გახდა.

"რაიონის ზედამხედველები" აღნიშნავენ, რომ ძალზე თბილი სეზონი დგას და რომ თოვლიც არნახულად ცოტაა. მონაწილეთა გადაადგილების გრაფიკში ცვლილებებია შესატანი.

გადამწყვეტი გასვლისთვის გამოდარებას ველით.

## 29 ივლისი:

შაბათ-კვირა დასვენების დღეებად გამოვაცხადეთ. სისხამ დილით ვერ შემდგარ ექსპედიციათა წევრები ურიცხვ მტვირთავებთან ერთად იტალიელ ცოლ-ქმართა წყვილის მეთაურობით ხმაურით აიშალნენ და საბაზო ბანაკი დატოვეს.

აქ მხოლოდ იაპონელთა ექვსკაციანი ჯგუფი დარჩა და კიდევ 16 მთამსვლელი. მათ შორის კუზბასელთა 8-კაციანი გუნდი: მე, გია და სამი ირლანდიელი, რომლებსაც თავდაპირველად K2-ზე ასასვლელად ეროვნული პირველობა გვქონდა გაჩაღებული და რომელიც ახლა ერთ მუშტად შეიკრა შვეიცარიელ ქალბატონთან, დანიელთან და პოლონელ მთამსვლელებთან.

თბილი ამინდია. არც ქარი უბერავს, მაღლა კი ღრუბელია.

## 31 ივლისი:

მწვერვალზე შტურმისთვის ვემზადებით. ქვათაცვენის მომატებული ალბათობის გამო მეორე ბანაკამდე გადაადგილებას ღამით ან დილაუთენია ვაპირებთ. სეზონი სრულდება. საბაზო ბანაკი მნიშვნელოვნად შეთხელდა. მწვერვალზე ასვლის განზრახვისგან ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი ორ იაპონელს, პოლონელსა და ჰოლანდიელს. და, რა თქმა უნდა, გია თორთლაძესა და სერგეი ბოგომოლოვს.

## 6 აგვისტო:

კიდევ ათი დღე გვაქვს. ჩვენს გეგმებში კვლავაც ამინდს შეაქვს კორექტივები. ამინდი სრულად ბატონობს სიტუაციაზე. დიდი თოვლისა და მოღრუბლულობის გამო მესამე ბანაკს ზევით ასვლა შეუძლებელია. თორთლაძემ ასვლაზე უარი თქვა და საბაზო ბანაკი დატოვა. მთაზე ირლანდიელი და პლონელი დარჩნენ.

1 აგვისტოს როგორც კი პატარა ფანჯარა გამოჩნდა მწვერვალზე ავიდა ორი იაპონელი და ერთბაშად რამდენიმე რეკოდრიც დაამყარეს: K2-ის ყველაზე ახალგაზრდა დამპყრობი ტაცუია აოკი (21 წლის), პირველი ამასთან ყველაზე ახალგაზრდა იაპონელი ქალი იუკა კომაცუ (24 წლის). ამასთან თითოეულისთვის ჩოგორი პირველი რვაათასიანი მწვერვალია.

# ბუნდესლიგა იწყება

დღეს, 11 აგვისტოს, სტარტს აიღებს გერმანიის ჩემპიონატი ფეხბურთში. მუდმივი მთავარი ფავორიტი, "ბავარია" მიუნხენში უმასპინძლებს დორტმუნდის "ბორუსიას", რომელიც მცირე ხნის წინ თავადაც ფავორიტთა რანგში გადიოდა. ახლა კი, სავარაუდოა, რომ ეს გუნდი მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის იბრძოლებს. მთავარი შეკითხვა ასეთია: შეძლებს თუ არა "ბავარია" გერმანიის ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვებას? უმეტესობა ამ შეკითხვას დადებითად პასუხობს.

როგორც წესი, გერმანიის სატრანსფერო ბაზარი დიდი აქტივობით არ გამოირჩევა. ძირითადად, ტრანსფერები ადგილობრივ კლუბებს შორის ხორციელდება. ყველაზე ხმაურიანი საერთაშორისო ტრანსფერის ავტორი შეიძლებოდა "ბავარია" გამხდარიყო, მაგრამ ჰოლანდიელმა რუუდ ვან ნისტელროიმ გერმანიას პირენეის ნახევარკუნძული ამჯობინა. თუმცა, ამის გამო ფელიქს მაგათი დიდად არ განაწყენებულა. მის გარეშეც მიუნხენური კლუბი საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. "ბაიერნის" აბსოლუტურ უპირატესობაში ყველა სპეციალისტი არ არის დარწმუნებული. კლუბის მენეჯერი ფრანც ბეკენბაუერი გარკვეულწილად შეშფოთებულია. "ბალაკი და ზე რობერტო წავიდნენ და ეს ნაპრალები როგორმე უნდა შეივსოს. მაგატი იმედს ამყარებს "კიოლნიდან" გადმოყვანილ ლუკაშ პოდოლსკიზე და ბელგიიდან გადმოყვანილ ვან ბუიტენზე, რომელიც "ჰამბურგიდან" გადმოვიბირეთ. მაგრამ ამ ფეხბურთელებით არა მხოლოდ "ბავარიის", არამედ მთელი ბუნდესლიგის უპირველესი ვარსკვლავის ბალაკის დანაკლისს ვერ ავანაზღაურებთ", - მიიჩნევს ბეკენბაუერი.

"ბავარიის" მთავარ კონკურენტებად "ვერდერი" და "ჰამბურგი" ითვლებიან. ბრემენულმა კლუბმა გადაიბირა ბავარიელი პერუელი პაოლო გერერო, რომელმაც "ბორუსიაში" გადაბარგებული პარაგვაელი ნელსონ ვალდესი უნდა შეცვალოს. სწორედ გერერო და ეგვიპტური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი მაჰმუდ ზიდანი დაეხმარებიან მიროსლავ კლოზეს გოლების გატანაში. "ვერდერს" წონადი დანაკარგიც აქვს: გუნდის პლეიმეიკერი ფრანგი იოან მიკუ სამშობლოში დაბრუნდა და "ბორდოში" გააგრძელებს კარიერას. ამასთან, ბრემენელები ბოლო საკონტროლო მატჩებში საშინლად გამოიყურებოდნენ. მაგალითად, მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითებულ "კაიზერსლაუტერნთან" მარცხის (1:3) შემდეგ ბრემენელები "ბორდოსთანაც" დამარცხდნენ. იმ შეხვედრაში ერთადერთი გოლი სწორედ მიკუმ გაიტანა. "ვერდერმა" "ჰამბურგთანაც" მოასწრო თამაში. ლიგის თასის ნახევარფინალში ბრემენელებმა ეს გუნდი 2:1 დაამარცხეს. ასეა თუ ისე, "ვერდერი" "ბავარიის" მთავარ კონკურენტად მოიაზრება.

"ჰამბურგის" მთავარმა მწვრთნელმა ტომას დოლმა ბუნდესლიგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე აღიარა, რომ მისი ფეხბურთელები დაღლილები არიან. თქმა არ უნდა, ჰამბურგში სჯერათ, რომ მათ გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია, მაგრამ იმ პირობით, რომ გუნდს საკუთარ მოედანზე ჩავარდნები არ ექნება, როგორც ეს გასულ სეზონში ხდებოდა. თუ როგორ უნდა დაამარცხონ "ბავარია", ჰამბურგში კარგად იციან - შარშანდელ სეზონში ამ გუნდმა ორჯერვე სძლია "ბაიერნს".

გერმანიის შვიდგზის ჩემპიონმა "შალკე 04"-მა თავისი ბოლო ტიტული 1958 წელს მოიპოვა. ასეთი წარმატება გელზენკირხენში ძალიან მოენატრათ. გასული წლის კომპანიის შემდეგ, რომელიც "შალკემ" მეოთხე ადგილზე დაასრულა, გელზენკირხენელებმა თავისი ყველა ლიდერი შეინარჩუნეს. კობიაშვილის, ლინკოლნის, კევინ კურანის, ჯერალდ ასამოას და სერენ ლარსენის მაშველად "კაიზერსლაუტერნისგან" ხალილ ალტინტოპი შეიძინეს. შემადგენლობის მიხედვით "შალკე" არც "ვერდერს" ჩამოუვარდება, არც "ჰამბურგს". ასე რომ, თუ გელზენკირხენული კლუბი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაებმება, არავისთვის სიურპრიზი არ იქნება.

არც "შტუტგარტი" მალავს ამბიციებს. გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრწინვალედ მოთამაშე პორტუგალიელი ფერნანდო მეირას სახით ამ გუნდს ნამდვილი ლიდერი ჰყავს, როგორიც ადრე ზვონიმირ სოლდო იყო. მექსიკის ნაკრების ორ გამოცდილ ფეხბურთელთან რიკარდო ოსორიოსთან და პაველ პარდოსთან, ასევე "სტრასბურიდან" გადმობირებულ შვედ ალექსანდრ ფარნერუდთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მთავარი მწვრთნელი არმინ ვეხი სერიოზული გუნდის შექმნას აპირებს. თუ ეს გამოუვა, "შტუტგარტს" ნამდვილად შეეძლება ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა.

სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლიათ ლევერკუზენის "ბაიერს", მიონხენგლადბახის "ბორუსიას" და ბერლინის "ჰერტას", მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ ეს გუნდები ეგრეთ წოდებული უეფას ზონის ადგილებისთვის იბრძოლებენ.

# კუბიცამ "ფერარი" "რენოს" დააწია

ბიბა ბურასაშვილი

*1993 წელი იყო, როდესაც დეიმონ ჰილმა პირველად მოიგო კარიერის პირველი "დიდი პრიზი". ინგლისელმა პირველ გამარჯვებას უნგრეთში მიაღწია, რასაც თან დაურთო მომდევნო ორი "დიდი პრიზიც". დეიმონ ჰილი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მისმა თანამემამულემ ჯენსონ ბატონმა, დეიმონ ჰილის მსგავსად, სწორედ "უნგრეთის დიდ პრიზზე" იზეიმა კარიერის პირველი გამარჯვება.*

"ჰუნგარორინგამდე" "დიდ პრიზებზე" 112-ჯერ გამოსულა, მაგრამ ფორმულა 1-ის ტრასსზე გამარჯვება აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. თუმცა სამეფო რბოლებში 112 წარუმატებელი "დიდი პრიზიც" არაა ყველაზე ბევრი. იტალიელ იარნო ტრულის 117 "დიდი პრიზი" დასჭირდა პირველ გამარჯვებამდე, ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს - 124!

"როგორც იქნა, გავიმარჯვე. ახლა უკვე აღარ მომიწევს ინტერვიუს დროს პასუხის გაცემა მაგალითად ასეთ კითხვებზე: "რას ფიქრობთ იმაზე, რომ კარიერაში ჩატარებული 113 რბოლიდან არც ერთში არ გაგიმარჯვნიათ? დღეის იქით ასე იქნება: "მან პირველი გამარჯვება მოიპოვა და მომავალშიც აპირებს არაერთი რბოლის



სამეფო რბოლებში კუბიცას დისკვალიფიკაციამ ინტრიგა გაამძაფრა.

მოგებას". თითქოს ტვირთი მომეხსნა".

"ჰუნგარორინგზე" გამარჯვებით "ჰონდას" ბრიტანელი მრბოლი ჯენსონ ბატონი კმაყოფილი იყო. ბრიტანელსა და "ჰონდას" საჯინიბოს მომდევნო რბოლაშიც გამარჯვება დაუსახავთ მიზნად.

ამასობაში ქვედა საფეხურებზე გამწესებულ საჯინიბოებში კარგი ამბები გავრცელდა. საქმე ის არის, რომ BMW-ს პოლონელ დებიუტანტს რობერტ კუბიცას მთელი ჯაფა წყალში ჩაუყარეს. მეშვიდე ადგილზე გასულ პოლონელს დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. სასჯელის მიზეზი ბოლიდის დასაშვებზე ნაკლები წონა აღმოჩნდა. ასე რომ, კუბიცას დისკვალიფიკაციამ "უნგრეთის დიდი პრიზის" შედეგებზეც იქონია გავლენა. "ფერარის" ბრაზილიელმა მრბოლმა ფელიპე მასამ ერთი საფეხურით ზევით აიწია. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ის არის, რომ მეცხრე პოზიციაზე მყოფმა მიხაელ შუმახერმა კუბიცას წყალობით ჩასათვლელ ადგილზე გადაინაცვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატის ლიდერს ფერნანდო ალონსოსა და სკუდერიელ შუმახერს შორის მრბოლთა პირად დავაში ქულათა სხვაობა 11-დან 10 ქულამდე შემცირდა, ხოლო ფერარელთა მონაგარი ერთიდან სამ ქულამდე გაიზარდა. ასე რომ, კონსტრუქტორთა დავაში სკუდერიელები "რენოს" მხოლოდ 7 ქულით ჩამორჩებიან. წინ ხუთი ეტაპია დარჩენილი (მომდევნო რბოლას 27 აგვისტოს "თურქეთის დიდ პრიზზე" სტამბული უმასპინძლებს).

"ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძოდი და მომავალშიც ასე იქნება. წინ კიდევ ხუთი რბოლა მაქვს იმისთვის, რომ ალონსოს დავეწიო. შეუძლებელი არაფერია. ახლა იმის დამტკიცებას ვაპირებ, რომ ჩემპიონის ტიტულის დაუფლება შემიძლია", - შეგულიანებული აცხადებდა შუმახერი.

რა თქმა უნდა, კარიერის პირველივე "დიდ პრიზზე" ჩამორთმეული ორი ქულით გულგატეხილია პოლონელი, რომელიც "ჰუნგარორინგზე" კანადელი თანაგუნდელის ჟაკ ვილნევის ნაცვლად მიუჯდა ბოლიდის საჭეს. მიუხედავად ამისა, იხტიბარს არ იტეხს - რვა საუკეთესოს შორის მოხვედრის შანსი კიდევ მექნებაო.

## მოკლედ

### უეფას თასი. მეორე ეტაპი.

**ჰერტა (გერმანია) 1:0 ამერი (საქართველო)**

ბერლინში "ჰერტასთან" გამართულ უეფას თასის მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა საქართველოს თასის მფლობელმა თბილისის "ამერმა". თბილისელებმა ამ მატჩისთვის დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და კარგადაც გაუმკლავდნენ "ჰერტას" ფორვარდებს. მატჩის ერთადერთი გოლი 90-ე წუთზე გერმანელთა აფრიკელმა ლეგიონერმა სოლომონ ოკორონკვუმ გაიტანა და "ჰერტამ" - 1:0 მოიგო. ამრიგად ყველაფერი განმეორებით შეხვედრაში, თბილისში გადაწყდება, რომელიც ორი კვირის შემდეგ 24 აგვისტოს გაიმართება.

### "ერთი გუნდი"

12 აგვისტოს, შაბათს, 18 საათზე, კინოთეატრ "ამირანში" გაიმართება საქართველოს ნაკრებზე გადაღებული ფილმის პრემიერა, რომელსაც "ერთი გუნდი" ეწოდება. ფილმის ავტორია სერგი გვარჯალაძე და მისი ჯგუფი. ფილმი, რომელიც უდავოდ საინტერესოა, სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს ეროვნულ გუნდსა და ფეხბურთელებს.

### გალასის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა

ლონდონის "ჩელსის" ფრანგი მცველი უილიამ გალასი კლუბის ხელმძღვანელობისგან ახალ კონტრაქტსა და ხელფასის 90 ათას ფუნტ სტერლინგამდე გაზრდას მოითხოვს.

გამოცემა "სანის" ცნობით, ლონდონელები ფეხბურთელს კვირაში ახლანდელზე ორჯერ მეტ ანაზღაურებას სთავაზობენ - 75 ათას ფუნტს. თუმცე, გალასის აზრით, ის ჯონ ტერისა და ფრენკ ლამპარდზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურაა გუნდისთვის.

ფეხბურთელის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, "ჩელსის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გალასი დუბლშემადგენლობაში ითამაშებს, ზაფხულში კი, როცა კონტრაქტის ვადა ამოეწურება, ტრანსფერზე დააყენებენ.

### იბრაგიმოვიჩი "ინტერშია"

იტალიური პრესის ინფორმაციით, ტურინის "იუვენტუსის" შვედმა თავდამსხმელმა ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი მილანის "ინტერთან". ფეხბურთელი გუშინ ჩავიდა მილანში და "ნერიაძურისთან" ხელი მოაწერა ოთხწლიან ხელშეკრულებას.

მილანელებმა იბრაჰიმოვიჩის სანაცვლოდ "იუვეს" 25 მილიონი ევრო გადაუხადეს.

### "რეალი" რეიესში 20 მილიონს იხდის

ლონდონის "არსენალის" ესპანელი თავდამსხმელის ხოსე ანტონიო რეიესის თქმით, ის სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას მადრიდის "რეალში". ლონოდნური კლუბი რეიესის სანაცვლოდ 31 მილიონ დოლარს ითხოვს, თუმცა "სამეფო გუნდის" სპორტული დირექტორის პრედრაგ მიატოვიჩის განცხადებით, ესპანელები რეისში 20,6 მილიონზე მეტს არ გადაიხდიან.

### ჯეიმსი კლუბის ძიებაშია

ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ სიტის" მეკარემ დევიდ ჯეიმსმა საჯაროდ გამოთქვა კლუბის დატოვების სურვილი.

36 წლის ფეხბურთელის მეუღლე ინგლისის სამხრეთით ცხოვრობს და ჯეიმსს მასთან ახლოს ცხოვრება უნდა. ინგლისელის თქმით, საუკეთესო ვარიანტი მისთვის "პორტსმუთი" იქნება, თუმცა ჯერჯერობით იქიდან არავინ შეხმიანებია.

### "ნიუკასლი" მარტინსით დაინტერესდა

პრემიერლიგის "ნიუკასლ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა გლენ რიოდერმა დაადასტურა პრესაში გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ ინგლისელები "ინტერის" ნიგერიელი თავდამსხმელით ობაფემი მარტინსით არიან დაინტერესებულნი.

"მარტინსი ბრწყინვალე ფეხბურთელია, ძალიან სწრაფი და ძლიერი. ამიტომაც მოხვდა ჩვენი თვალთახედვის არეში", - განაცხადა "კაჭკაჭების" თავკაცმა.

### ლიოვმა შემადგენლობა დაასახელა

ბუნდესნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა იმ ფეხბურთელთა შემადგენლობა დაასახელა, ვინც 16 აგვისტოს შვედეთთან ამხანაგურ მატჩში ითამაშებს.

**მეკარეები**: ლემანი ("არსენალი", ინგლისი), ჰილდებრანდი ("შტუტგარტი");

**მცველები**: ა. ფრიდრიხი ("ჰერტა"), მ. ფრიდრიხი ("მაინცი"), იანსენი ("ბორუსია", მიონხენგლადბახი), ლამი ("ბაიერნი"), მეტცელდერი ("ბორუსია", დორტმუნდი), ნოვოტნი ("დინამო", ხორვატია);

**ნახევარმცველები:** ბალაკი ("ჩელსი", ინგლისი), ბოროვსკი, ფრინგსი (ორივე "ვერდერი), ჰიტცლშპერგერი ("შტუტგარტი"), კელი, ოდონკორი (ორივე "ბორუსია"), შნაიდერი ("ბაიერი"), შვაინშტაიგერი ("ბაიერნი");

**თავდამსხმელები:** ასამოა ("შალკე"), ჰანკე ("ვოლფსბურგი"), კლოზე ("ვერდერი"), ნოივილი "(ბორუსია", მიონხენგლადბახი), პოდოლსკი ("ბაიერნი").

### კემპბელი "პორტსმუთში" ითამაშებს

ლონდონის "არსენალის" მცველმა სოლ კემპბელმა, როგორც იქნა, ახალი კლუბი გამონახა - ინგლისელი ფეხბურთელი "პორტსმუთში" ითამაშებს.

31 წლის კემპბელმა ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ივლისის ბოლოს ფეხბურთელმა საჯაროდ განაცხადა, რომ "ჰაიბერიზე" გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ მას კლუბის გამოცვლა ესაჭიროებოდა. "პორტსმუთი" კემპბელს კვირაში 60 ათას ფუნტ სტერლინგს გადაუხდის.

### "ტორინომ" სოლარის დაადგა თვალი

იტალიური პრესის ცნობით, სერია ა-ში აღზევებული "ტორინო" მილანის "ინტერის" ნახევარმცველი სანტიაგო სოლარით დაინტერესდა.

არგენტინელი ჰავბექი "სან სიროზე" გასულ წელს გადაბარგდა, თუმცა გუნდის ძირითადში ფეხი ვერ მოიკიდა.

### ფანებმა ჯერარდი და ტერი ვერ გაიყვეს

ბი-ბი-სი სპორტის ოფიციალურ საიტზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ინგლსელი ფანები ქვეყნის პირველი გუნდის კაპიტნის კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდნენ.

გამოკითხულთა 51%-მა ჯონ ტერის მისცა ხმა, 46%-მა კი - სტივენ ჯერარდს. ხმების 2% მოიპოვა გარი ნევილმა. ფრენკ ლამპარდმა და დევიდ ბექჰემმა კი მხოლოდ 1% მიიღეს.

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სტივ მაკლარენი გუნდის კაპიტნის ვინაობას დღეს დაასახელებს.



# ცვლილებები განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 2006 წლის 2 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" გამოაცხადა ტენდერი ქ.ქუთაისში ბრტყელი გადახურვის მქონე ავარიულსახურავიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოების შესყიდვაზე. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შესულია ცვლილებები. კერძოდ,

**I ლოტი**

**ავტოქარხნის განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **39530 მ2** მათ შორის **15 810 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**II ლოტი**

**კახიანოურის განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **13 320 მ2** მათ შორის **4 870 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**ვაკისუბნის განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **13 500 მ2** მათ შორის **5 150 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

სულ გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **26 820 მ2** მათ შორის **10 020 მ2**

გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**III ლოტი**

**სულხან-საბას განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **13 370 მ2** მათ შორის **5350 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**გამარჯვების განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **9 950 მ2** მათ შორის **5310 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**სულ** გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **23 320 მ2** მათ შორის **10 660 მ2**

გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**IV ლოტი**

**უქიმერიონის განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **1 700 მ2** მათ შორის **1 700 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**ნიკეას განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **17 650 მ2** მათ შორის **7 400 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით.

**ძელქვიანის განყოფილება**

გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **980 მ2** მათ შორის **980 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**სულ** გადახურვის სამუშაო შესასრულებელია **20 330 მ2** მათ შორის **10 080 მ2**

გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**სულ სამუშაო შესასრულებელია 110 000 მ2**

მათ შორის **46 570 მ2** გადასახური სამუშაოები სრულდება თვითმმართველობის მიერ შესყიდული მასალით

**V ლოტი**

**შესასყიდია 10000 ცალი შიფერი , ერთეულის ფართობი 1.7 მ2**

სახელშეკრულებო ობიექტის მოკლე ტექნიკური აღწერილობაში:

- I აბზაცში: შემასწორებელი ფენილის ნაცვლად იქნება შემასწორებელი ფენა.
- III აბზაცში: ციფრი 49714 შეიცვალა ციფრით 63430.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან ირაკლი გოგლიჩიძე, ავთანდილ როხვაძე, ზვიად ყიფშიძე, გიორგი გაბიძაშვილი, მისამართზე: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3 მე-4 სართ. Aოთახი N429; 431; 433; ტელ: (8231) 4 64 48; 4.31.73; 4 38 96; ქ.ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა.

*სატენდერო კომისია*

## კლოდ მონეს შემოქმედება



კლოდ მონემ დატოვა ყველაზე საიმედო წყაროები ლონდონის ბურუსით მოცულ ფაქტებზე, რომლებიც ბრიტანეთის დედაქალაქში XIX-XX საუკუნეებში იქნა აღმოჩენილი. ამ დასკვნებამდე მივიდნენ ინგლისელი სწავლულები, რომლებიც იკვლევდნენ იმპრესიონისტის ნამუშევრების სერიას, რომელთა შორისაა პარლამენტის შენობა.

მომავალში დაგეგმილია სურათების პიგმენტების შესწავლა, რათა დაამტკიცონ იმ წლების ლონდონის ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობა, როცა მონე მუშაობდა ამ სურათებზე. კლოდ მონე სამჯერ ჩავიდა დიდ ბრიტანეთში 1899 და 1901 წლებში და შექმნა 95 ნამუშევარი. ბევრი მათგანი მხატვარს არ დაუთარიღებია, ამიტომ ხელოვნების მკვლევარებს ერთი აზრი არ ჰქონდათ - შექმნილია თუ არა ყველა ნამუშევარი ნატურალურად, თუ ზოგიერთი მათგანი მხატვარმა მოგვიანებით შექმნა, როცა პარიზის მახლობლად ჟივერნში მუშაობდა.

ბირმინგემის უნივერსიტეტისა და ამერიკის საზღვაო ობსერვატორიის წარმომადგენლებმა დაადგინეს მზის მიმართულება, როცა მონე ქმნიდა პარლამენტის შენობას. მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ლონდონის ყველა პეიზაჟი შექმნილია ნატურალურად 13 თებერვლიდან 23 მარტამდე 1900 წელს დღის საათებში. აგრეთვე შეძლეს დაედგინათ ადგილი, სადაც ქმნიდა ნამუშევრებს მონე. მხატვარი მუშაობდა წმინდა თომას საავადმყოფოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე, დახურულ ტერასაზე, რომელიც განლაგებულია პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს, ტემზის ნაპირზე.

## თვითდაფინანსება



იორკის კათედრალური ტაძრის ასამდე ფრაგმენტული ქვა გაიყიდა აუქციონზე. მიღებული თანხა - 12 ათასი ფუნტი სტერლინგი მოხმარდება ამ გოთური ტაძრის რესტავრაციას. თვითდაფინანსების ეს ორიგინალური ფორმა ბრიტანელმა ხელოვნებათმცოდნეებმა შეიმუშავეს. მთლიანად რესტავრაციას სჭირდება 23 მილიონი ფუნტი სტერლინგი. ამიტომ ტაძარი კიდევ სხვა აუქციონებსაც გეგმავს.

ბევრმა გააკრიტიკა ნაციონალური არქიტექტურული მემკვიდრეობის ამ სახით გადარჩენა და მას "სკანდალური" გაყიდვა უწოდა. გაყიდულ ქვებს შორის იყო როგორც გასული საუკუნის, ისე XIX საუკუნეში გამოკვეთილი ნამუშევარი. ბევრი მათგანი საჭიროებს მოხატვის რესტავრაციას და ისინი ინტერნეტით გაიყიდება ამერიკელი მყიდველებისთვის. ისტორიული შენობის ფრაგმენტების გაყიდვა ბრიტანეთის პრაქტიკაში პირველი შემთხვევა არ არის. ჯერ კიდევ 1970 წელს ამ სახით გაიყიდა ლონდონის წმინდა პავლეს ტაძრის ქვები, რომელზეც ანგელოზები იყვნენ გამოსახულნი, ხოლო 2002 წელს ედინბურგის წმინდა ჯაილის XIX საუკუნის ტაძრის ნაწილები გაიყიდა.

## ჯაზის ფესტივალი



ეილატეში ჯაზის ფესტივალის ორგანიზატორებმა ბევრი ფიქრის და კამათის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება არ გადადონ ეს ტრადიციული ფესტივალი. მათ მხარს უჭერთ ხელისუფლებაც, თუმცა მათი თქმით იგი შედარებით მოკრძალებულ ფორმებში გაიმართება, ვიდრე დაგეგმილი იყო ომის დაწყების წინ. აგრეთვე, მათი აზრით, იმედოვნებენ, რომ ისრაელის მცხოვრებლებს სულ ცოტა ხალისს მაინც დაუბრუნებენ.

ფესტივალი სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება. 28-დან 30 აგვისტომდე. ამავე დროს 36 დაგეგმილი კონცერტიდან მხოლოდ 28 გაიმართება. როგორც ფესტივალის სამხატვრო დირექტორი დანი გოტფრიდი აღნიშნავს, უცნაური სულაც არ არის, რომ ბევრმა მოწვეულმა მუსიკოსმა უარი თქვა ისრაელში ჩამოსვლაზე. "აქ მიმდინარეობს ომი და ეს მთელმა მსოფლიომ იცის, ჩვენ არ შეგვიძლია ბოლო წუთებში მოვძებნოთ ხუთი ჯგუფი, რომლებმაც გადადეს ფესტივალში მონაწილეობა, ამიტომ გადავწყვიტეთ შევამოკლოთ ფესტივალი და ოთხი დღის ნაცვლად იგი სამ დღეს გასტანს. ხოლო მონაწილეობას შვიდი ჯგუფი მიიღებს. რაც შეეხება ფესტივალის გადავადებას, მე წინააღმდეგი ვარ, რადგან პირველ რიგში, ჩვენ უნდა გავუძლიეროთ ისრაელის მოსახლეობას სული და რამდენადაც შესაძლებელია, გავაგრძელოთ ჩვეულებრივი ცხოვრება. მაგრამ რა თქმა უნდა, ისმება კითხვა - რა გვემღერება, როცა ჩვენი მოსახლეობა ბომბების ქვეშ იმყოფება?"

თუმცა ტურიზმის და კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ფესტივალი მაინც გაიმართება.

## ცნობილი ბალერინა



88 წლის ასაკში გარდაიცვალა XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ბალერინა მელისა ჰეიდენი. მისი სიკვდილის მიზეზი კიბო აღმოჩნდა. იგი იყო ჯორჯ ბალანჩის New York City Ballet-ის ბალერინა. მისი ნამდვილი სახელი და გვარია მილდერ გერმანი. სწავლობდა რუსეთში ბორის ვოლკოვთან კალსიკურ ცეკვებს. 1940 წლის ბოლოს კი გადავიდა ნიუ-იორკში. ამავე დროს, ცოტა ხნით ცეკვავდა Radio City Music Hall-ის კორდებალეტში, შემდეგ გადავიდა Ballet Theatre-ში. 1948 წელს იგი მუშაობდა კუბელ მოცეკვავესთან ალისა ალოსონსთან და ნიკოლ მაგალენოსთან, მათვე წარუდგინეს ახალგაზრდა ბალერინა ჯორჯ ბალანჩინს, რომლის დასშიც ცეკვავდა 1948 წლიდან 1973 წლამდე. ასრულებდა პარტიებს ვებერნის "ცეცხლში", "ეპიზოდებში" და სხვა სპექტაკლებში. გადაიღეს აგრეთვე ჩარლი ჩაპლინის ფილმში "რამპის ჩირაღდნები". 1980 წლიდან ბალერინა ასწავლიდა ცეკვებს ამერიკის ყველაზე ცნობილ ქორეოგრაფიულ დაწესებულებებში.

## სექსის მუზეუმი



ნიუ იორკის "სექსის მუზეუმში" სენატორის და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლის ჰილარი კლინტონის ბიუსტი გამოფინეს. ბიუსტის ავტორი დენიელ ედვარდსი დარწმუნებულია, რომ იგი წარმოშობს დისკუსიებს სექსზე, პოლიტიკაზე და ცნობილ ადამიანებზე.

ედვარდი აგრეთვე არის ბრიტნი სპირსის სტატუის შექმნელი. სკულპტორი ამტკიცებს, რომ მას უნდოდა ჰილარი კლინტონის ასაკის და ქალურობის დაფიქსირება. მისივე თქმით, მის ნამუშევარში არსებობს რბილი "პრეზიდენტული ღიმილი" და ნაოჭები თვალების ირგვლივ. სენატორის მკერდს კი ამშვენებს ყვავილები. " მე არ მინდოდა შემეცვალა მისი ასაკი, მთავარი იყო ცოტათი გამომეჩინა მისი მკერდი, თუმცა ჩვეულებრივად მათ მალავენ, მაგრამ ეს არაფერს წარმოადგენს." - აღნიშნავს ავტორი.

## რობინ უილიამსი

ამერიკელი მსახიობი რობინ უილიამსი ეძებს ალკოჰოლის საწინააღმდეგო წამლებს. 55 წლის მსახიობი თავს 20 წლის განმავლობაში იკავებდა. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, მან იგრძნო ალკოჰოლის მიმართ მიდრეკილება და გადაწყვიტა სასაწრაფოდ მიიღოს საჭირო ზომები, რომ თავი ისევ კარგად იგრძნოს და ოჯახს ზიანი არ მიაყენოს. ამჟამად იგი გადის მკურნალობას სპეციალურ კლინიკაში. ამავე დროს მსახიობი გეგმავს შემოდგომაზე მთელი ენერგიით დაუბრუნდეს სამუშაოს, რათა უხელმძღვანელოს კომპანიას და გამოუშვას ახალი ფილმები. რობინ უილიამსის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი არის ფილმი "წლის ადამიანი". აგრეთვე იგი ახმოვანებდა პინგვინს მულტფილმში "გააკეთე ფეხები". 1998 წელს კი მიიღო "ოსკარი" "მეორეხარისხოვანი საუკეთესო მსახიობისთვის".

## განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სამინისტროს სამახსოვრო სუვენირის დიზაინის შექმნის მიზნით.

სუვენირის დიზაინი სასურველია მოიცავდეს სოფლის მეურნეობის თემატიკას. კონკურსში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა პირებმა 2006 წლის 31 აგვისტომდე უნდა წარმოადგინონ სუვენირის ნიმუში, რომელთაგან სამინისტროს მიერ მოხდება საუკეთესოს გამოვლენა შემდგომში მისი შესყიდვის მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 ან 414. სახელმწიფო შესყიდვებისა და სამეურნეო სამმართველო, ტელ: (995 32) 99-92-40.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სალიანდაგო ღორღის შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 10 ივლისს გამოცხადებულ **სალიანდაგო ღორღის შესყიდვის შესახებ** სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

**განსაკუთრებული თავისებურების** გრაფაში ნაცვლად **„გრანიტისა"**, ჩაიწეროს **„ბაზალტის, გარეცხილი"**.

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოცხადებული **სალიანდაგო ღორღის** შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

*სატენდერო კომისია*

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში 2006 წლის 2 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" შევიდეს ცვლილებები.

**კერძოდ:**

შეიცვალოს საბანკო რეკვიზიტები - ტენდერი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე - დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინეთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ.თბილისი გ.გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ.75-47-74, მობ. 8(99) 23-46-95.

*სატენდერო კომისია*

**ქირავდება 4930 მ² ფართი, საოფისე ფართი 230 მ², 3300 მ² ეზოთი, 800 მ² სასაწყობო ფართით, 600 მ² საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge




**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენთიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით ალმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასისათვის" უმაღლესი ხარისხის ფაიფურის ჭურჭლის ერთ ლოტად შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

2. ლოტი: უმაღლესი ხასრისხის ფაიფურის ჭურჭელი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფურშეტის თეფში, 26X19 სმ | თითის გასაყოფი ადგილით და ღვინის ჭიქის სადგამით | თეთრი ფაიფური | 500 | ც |
| ყავის ფინჯანი 0.22ლ. | ერთმანეთზე ასაწყობი | თეთრი ფაიფური | 500 | ც |
| ყავის ფინჯანი ლამბაქი | ლამბაქი 13სმ | თეთრი ფაიფური | 300 | ც |
| კვერცხის ჩასადები ჭიქა | | თეთრი ფაიფური | 60 | ც |
| წვნიანის თასი | 0.25ლ. | თეთრი ფაიფური | 156 | ც |
| წვნიანის ლამბაქი 17,5სმ | | თეთრი ფაიფური | 156 | ც |
| ბრტყელი თეფში, 27 სმ | | თეთრი ფაიფური | 700 | ც |
| ბრტყელი თეფში, 21 სმ | | თეთრი ფაიფური | 400 | ც |
| ბრტყელი თეფში, 16 სმ | | თეთრი ფაიფური | 200 | ც |
| ოვალური თეფში 21 სმ | არა ღრმა | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| საფერფლე | მრგვალი 3 სიგარეტიანი | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| სამარილე | ოვალური ერთხვრელიანი | თეთრი ფაიფური | 100 | ც |
| საპილპილე | ოვალური 5 ხვრელიანი | თეთრი ფაიფური | 100 | ც |
| ვაზა | ოვალური ერთხვრელიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| საფერფლე | ბორცვისებური ფორმის 3 სიგარეტიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| პატარა ბრტყელი ინდ. თეფში, 7სმ | ბორცვისებრი ფორმის | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| ღრმა თეფში 8,5X8,5 სმ | კვადრატი, მომრგვალებული ნაპირებით | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| სასანთლე | ტალღისებური ფორმის | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| ბრტყელი ოთკუთხა თეფში 32X32სმ | | რძისფერი მინა | 120 | ც |
| ბრტყელი ოთკუთხა თეფში 20X20სმ | | რძისფერი მინა | 120 | ც |
| მართკუთხა საშაქრე თასი 10,6სმ | | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| სარძევე 0.25ლ | გადმოსასხმელი დაბოლოებით | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| ბუფეტის თეფში 33 სმ | | მინა, ფერადი დაბოლოებებით | 50 | ც |
| მრგვალი თასი 38 სმ | | მინა, ფერადი დაბოლოებებით | 50 | ც |
| ჩაის კოვზი 17,5 სმ | ტალღისებური ფორმა with cup edge | | 120 | ც |
| საპირპილე | ტალღისებური ფორმა, 5 ნახვრეტიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| სამარილე | ტალღისებური ფორმა, 1 ნახვრეტიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| სარძევე | ტალღისებური ფორმა | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| საშაქრე თასი | ტალღისებური ფორმა | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| საპრეზენტაციო თეფში 35 სმ | ფოთლისებრი ფორმა | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| საპრეზენტაციო თეფში 28 სმ | ფოთლისებრი ფორმა | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| თასი 5, 12ცმ | ფოთლისებრი ფორმა, მწვანე ფოთლის დეკორაციით | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| წვნიანის თასი ლამბაქის გარეშე | ფოთლისებრი ფორმა 2 ყურით | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| დიდი ბრტყელი თეფში 34ხ34სმ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| საპრეზენტაციო თეფში 33X24სმ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| მაკარონის თეფში 28 სმ | ტალღისებური ფორმა, ღრმა | ფაიფური | 120 | ც |
| პურისა და კარაქის თეფში 15X13 სმ | კვადრატული | ფაიფური | 120 | ც |
| ბრტყელი თეფში სამკუთხა 22X22 ხმ | სამკუთხა მრგვალი ნაპირებით | ფაიფური | 120 | ც |
| ესპრესოს ფინჯანი ლამბაქის გარეშე, 0,08ლ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| ყავის ფინჯანი ლამბაქის გარეშე, 0,18ლ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| ლამბაქების ჩასაწყობი, 15X13 სმ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 240 | ც |

3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი თელავის ქ. 20.
4. ვადები: 2006 წელი. ხელშეკრულების გაფორმებიდან წლის ბოლომდე.
5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადები წარმოადგინონ 2006 წლის 31 აგვისტოს 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0103 ქ. თბილისი, თელავის ქ. 20, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი", ტელ: 77 20 20, საკონტაქტო პირი: ბ-ნი Mმანუჩარ გრიგოლაშვილი.
6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- იურიდიულმა პირებმა:
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);
- რეგისტრაციის მოწმობა და ცნობა საწესდებო კაპიტალის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან); უცხოური კომპანიებისათვის შესატყვისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული (უცხოური კომპანიებისათვის შესატყვისი ცნობა).
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (უცხოური კომპანიებისათვის შესატყვისი ცნობა).
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (უცხოური კომპანიებისთვის ცნობა, რომ კომპანიაში არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია).
- სატენდერო წინადადება და მასში შემავალი დოკუმენტები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

- ფიზიკურმა პირებმა:
- ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენთიფიკაციო ნომერი 202889865, ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკი, ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101666, ა/ა 050609031.
8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 11 აგვისტოდან 30 აგვისტოს 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, 0103, თელავის 20, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი".
9. აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.
10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემთა ნუსხაში მითითებული სახით, ფორმითა და ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბატონ მანუჩარ გრიგოლაშვილს. ტელეფონი 77 20 20, ფაქსი 77 45 16.
ელფოსტა: Manuchar.grigolashvili@sheraton.com

# ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძემ ერთპიროვ-ნულად განვიხილე სს "აჭარგაზის" დირექტორის ავთანდილ გოგიტიძის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე

N2-885
**განჩინება**

07 აგვისტო. 2006 წ. ქ. ბათუმი

**დავადგინე:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმეთა წარმოება სს "აჭარგაზის" მიმართ.
2. აეკრძალოს სს "აჭარგაზს" განკარგოს თავისი ქონება.
3. სს "აჭარგაზის" გაკოტრების მმართველად დაინიშნოს დავით დავითაძე დაბადებული 1972 წლის 01 იანვარს, ქ. ბათუმში მცხოვრები ქ. ბათუმში, კობალაძის ქ. N11 ბინა N18-ში.
4. გაკოტრების მმართველის გასამრჯელო განისაზღვროს გაკოტრების მასის ღირებულების 4 %-ის ოდენობით.
5. გაკოტრების მმართველს დავით დავითაძეს გადაეცეს დანიშვნის დოკუმენტი და თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტი დაუბრუნოს სასამართლოს.
6. განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობანი.
7. დაევალოს სს "აჭარგაზის" კრედიტორებს განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი მოთხოვნები ვალის საფუძვლის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
8. დაევალოს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ყველა პირს, ვისაც ვალაული მოვალის ქონებაზე აქვს საკუთრების ან გირავნობის უფლება, განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ.
9. აეკრძალოს ყველა პირს, ვინც ფლობს სს "აჭარგაზის" საკუთრებაში არსებული რაიმე ქონებას ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, ქონების დაბრუნება და ვალდებულების შესრულება გაკოტრების მმართველის მიმართ.
10. მოწვეული იქნეს სს "აჭარგაზის" კრედიტორთა პირველი კრება 2006 წლის 26 სექტემბერს 1500 საათზე ბათუმის საქალაქო სასამარლოს სხდომათა დარბაზში. მის: ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. N5.
11. განჩინება გამოქვეყნდეს დადგენილი წესით.
12. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში.

*ბათუმის საქალაქო სასამართლოს*
*მოსამართლე:/ხათუნა ბოლქვაძე/*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა (დაბა ხელვაჩაური დ. ალმაშენებლის ქ N21) აცხადებს ტენდერს ხელვაჩაურის რაიონში (კახაბრისა და გონიოს თემის საკრებულოებში) წყალმომარაგების სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა იურდიულ და ფიზიკურ პირს.
- წყალმომარაგების სისტემის რემონტი სოფ. ანგისაში.
- წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. ახალისოფელში.
- წყალმომარაგების სისტემის აღდგენა სოფ. გონიოს ცენტრიდან მე-3 ბრიგადამდე.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 31 აგვისტოს 10 საათიდან 2006 წლის 01 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. N21. III-ე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**
- ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინპექციიდან)
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის, ლიკვიდაცია, გაკოტრების და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან)
- ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);
- ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშსზე: მიმღები- ს.ს. სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალი, ბანკის კოდი 220101457, ხელვაჩაურის რაიონის საფინანსო სამსახურის სპეც. ანგარიში, ანგარიშის N33060001, საიდენტიფიკაციო კოდი 248385117.
6. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მანველიძე ტ. 4 10 30, 7 62 93, 8(93) 35 72 14 მისამართზე: დაბა ხელვაჩაური დ. ალმაშენებლის ქ. N21.

*სატენდერო კომისია*

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 11 აგვისტოდან აცხადებს ტენდერს სხვადასხვა მასალის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე: ქ. თბილისი, თამარ-მეფის გამზ. N15) აცხადებს ტენდერს სამ ლოტად სხვადასხვა მასალის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი:: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყივების სააგენტო, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | საქონლის დასახელება | რაოდ. |
|---|---|---|
| 1 | ასაღები ნიჩაბი რკინის საშუალო სტანდარტული ზომის | 1590 ც |
| | რკინის ლურსმანი სამშენებლო 100 მმ-ის სიგრძის | 180 კგ |
| | რკინის ლურსმანი სამშენებლო 150 მმ -ის სიგრძის | 70 კგ |
| | რკინის ლურსმანი სამშენებლო 70 მმ- ის სიგრძის | 150 კგ |
| 2 | ფოლადის გვარლი (ტროსი) დ-15 მმ გოსტი 2688-80 ან მისი ანალოგი | 80 მ |
| | ფოლადის გვარლი (ტროსი) დ-16 მმ გოსტი 2688-80ან მისი ანალოგი | 500 მ |
| | ფოლადის გვარლი (ტროსი) დ-18 მმ გოსტი 2688-80ან მისი ანალოგი | 500მ |
| | ფოლადის გვარლი (ტროსი) დ-22 მმ გოსტი 2688-80ან მისი ანალოგი | 700 მ |
| | ბიმეტალის გვარლი მრავალძარღვა ПБСМ-95 მმ | 733 კგ |
| | ბიმეტალის გვარლი მრავალძარღვა ПБСМ-70 მმ | 489 კგ |
| 3 | ანტიფრიზი „ტოსოლი“ (-40$^{0}$) | 2 ტ |

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, მ. ქავთარაძის ქ N11, შესყიდვების სააგენტოს სასაწყობო მეურნეობა.
4. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვე.
*5.* პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ქართულ ან/და რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **4 სექტემბერს** 9სთ 00წთ-დან - 18 სთ 00 წთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15. მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო. ***სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.***
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტია, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირებისათვის:**
1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ. Mმეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტია, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:**
1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდ. მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენეილი სატენდერო დოკუმენტაციაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 51 85.

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენეხვისათვის საჭირო ქვემოთ ჩამოთვლილ, ლოტებად დაყოფილი მანქანა-მექანიზმების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

| ლოტი | საქონლის დასახელება | ტექ მონაცემები | ზომის ერ-ლი | რაოდ-ბა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მაღალი წარმადობის ფრეზო-როტორული თოვლმწნენდი | • წარმადობა არანაკლებ 4 500 ტ/ს;<br>• ასაღები თოვლის საფარის სიმაღლე 1500-2000 მმ ფარგლებში;<br>• გაწმენდის ზოლის სიგანე 2500-2700 მმ<br>• სიჩქარე 0-40 კმ/ს;<br>• საწვავის ხარჯი 30-45 ლ/ს ფარგლებში<br>• ბაზის ფორმულა 4X4 | ცალი | 1 |
| 2 | კომბინირებული საგზაო მანქანა | • მთელი წლის განმავლობაში ექსპლუატაციისათვის საჭირო ცვლადი საკიდი მოწყობილობა ან ალტერნატიული წინადადება;<br>• საბაზო მანქანა 6X4 ან 6X6;<br>***ზამთრის პერიოდისათვის***<br>• ქვიშის მომპნევი მოწყობილობა მოცულობით არანაკლებ 6 მ³;<br>• წინა ჩქაროსნული დანა მუშა სიგანე არანაკლებ 2800 მმ;<br>• სიჩქარე 20-40 კმ/ს ფარგლებში;<br>***ზაფხულისათვის:***<br>• მოწყობილობა ორმოული შეკეთებისათვის:<br>- ბუნკერი ხრეშისათვის მოცულობით არანაკლებ 2.2 მ³<br>- ავზი ნავთობბიტუმის ემულსიისათვის არანაკლებ 1000 კგ;<br>- ავზი წყლისათვის არანაკლებ 800 ლ;<br>- საკომპრესორო და ძალოვანი აგრეგატები | ცალი | 5 |
| 3 | საშუალო სიმძლავრის ავტოგრეიდერი | • მთლიანი ნომინალური სიმძლავრე არანაკლებ 90კვტ;<br>• სავალი ნაწილი-პნევმობორბლიანი;<br>• ბორბლების სქემა 1X2X3;<br>• სამუშაო ორგანო:<br>- შუა გრეიდერის დანა;<br>- წინა ბულდოზერის დანა;<br>- უკანა გამაფხვიერებელი კავები; | ცალი | 3 |

2. მოწოდების პირობა CIP თბილისი Incoterms 2000 პირობების შესაბამისად;
3. საქონლის მოწოდების ვადა - 2006 წლის 15 დეკემბრამდე ;

4. მოსაწოდებელი საქონლის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) 2006 წლის 15 აგვისტოს 1200 საათიდან შეეძლებათ 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ დოლარებში ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ რეკვიზიტებზე:

*მიმღების დასახელება:* **სახელმწიფო ხაზინა**
*მიმღები ბანკი:* **საქართველოს ეროვნული ბანკი;**
*ბანკის კოდი:* **220101107**
*საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი:* **302003000**
*გადახდის დანიშნულება:* **სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის**
*სალარე ანგარიშის* **N 200122900,**
*სავალუტე ანგარიში* **N 001189362**

მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწ-ყებო დაწესებულება ***საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, მე-13 სართული, გაგარინის ქ. N 29ა, 0160 თბილისი, საქართველო.***

**სატენდერო დოკუმენტები კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ პრეტენდენტებს მათი ხარჯებით.**

6. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა სამივე ლოტზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით ***2006 წლის 04-05 სექტემბრის დღის 1200 საათამდე*** ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ***საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება, მე-13 სართული, ოთახი N 13, გაგარინის ქ. N29ა, 0160 თბილისი, საქართველო.***

*7.* პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 05 სექტემბრის დღის 1200 საათზე**. პრეტენდენტებს უფლება აქვს დაესწროს გახსნის პროცედურას.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 ცნობები:

8.1.1.* იურიდიული პირისათვის:

ა) დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეებში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით;

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

8.1.2.* ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

8.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის;

საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

*ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს*:

9. ხელმოწერილი (იურიდიული და ინდივიდუალური მეწარმისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

10. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - GEL ლარი ან ლართან მიმართებაში ეკვივალენტურ კონვერტირებად ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 აგვისტოს გაცვლითი კურსის შესაბამისად

